ЧЗ
1939/2.

СССР განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

კრებული

№ 6 ივნისი 1939 წ.

3535.

შინაარსი

1) სკოლის დამსახურებულ მასწავლებლად წოდების მინიჭების შესახებ საქართველოს სსრ საალაფო კომისართა საბჭოს დადგენილება 2

2) ბრძანება № 3193 — ახალ სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ 6

3) ინსტრუქცია მასწავლებელთა აგვისტოს რაიონული საინტერუქციო თათბირების ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ 7

4) ბრძანება № 3393 — ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეშობის შედეგების შესახებ 9

5) ბრძანება № 2337 — წერა-კითხვის უცოდინარ და მკერემცოდნე წვეულმედელთა სწავლების და სავრთოდ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის და მკერემცოდნეობის ლიკვიდაციის შესახებ 13

6) ბრძანება № 2122 — 1934, 1935, და 1936 წლებში განსაკუთრის სისტემის უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების შესახებ 14

7) ბრძანება № 2263 — ჭიათურის რაიონმასკომის განათლების განყოფილების ფინანსიური დოკუმენტალური რევიზიის შესახებ 15

განსახკომი
თბილისი—1939

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დამსახურებულ მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება № 1272

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება შემდეგ ამხანაგებს:

1. აბდუშელიშვილს ვასილ გრიგოლის-ძეს — ქ. თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

2. ავაქოვას ნინო დავითის ასულს — ქ. თბილისის 39 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

3. არუთინოვას ერნუი სტეფანეს ასულს — ქ. თბილისის 70 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

4. ავეტისიანს პარანცემა აბრამის ასულს — მილენკოვის (აფხაზეთი) სომხური საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

5. აღნიაშვილს ნინო რომანის ასულს — ქ. თბილისის 20 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

6. ბასარიას სიმონ პეტრეს-ძეს — ქ. სოხუმის პედასწავლებლის მეთოდიკის და გეოგრაფიის მასწავლებელს.

7. ბაზილეევიჩს ტაისა ოსიპის ასულს — მერხეულის (აფხაზეთი) ა. ს. საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.

8. ბეგიაშვილს ელენე სიმონის ასულს — ქ. თბილისის 10 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

9. ბალანჩივაძეს მარიამ იოსების ასულს — ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს.

10. ბურჯანაძეს ვერა კონსტანტინეს ასულს — ქ. თბილისის 20 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

11. ბურჯანაძეს ეკატერინე იოსების ასულს — ქ. თბილისის 18 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

12. ბახტაძეს ალექსანდრა კონდრატეს ასულს — ქ. თბილისის 8 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.

13. გოგიას პლატონ მიხეილის-ძეს — ქ. ოჩამჩირის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

14. გიორგობიანს ეკატერინე სიმონის ასულს — ქ. თბილისის 36 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

15. გორგაძეს მიხეილ გიორგის-ძეს — ქ. თბილისის 80 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

16. გივნეიშვილს მარგალიტა პორფი-

ლეს ასულს — ქ. თბილისის 34 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

17. გონიაშვილს ნატალია იოსების ასულს — ქ. თბილისის 19 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

18. გომელაურს ანდრია სოლომონის-ძეს — ქ. თბილისის 4 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

19. დახნოვიჩს სოფიო ალექსანდრეს ასულს — ქ. ბათუმის 26 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

20. დიდიას ეკატერინა ესტატეს ასულს — ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

21. **დოლიძეს** მარიამ გრიგოლის ასულს— ქ. თბილისის 20 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

22. ეგოროვას ეკატერინე ივანეს ასულს — ქ. ბათუმის 2 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

23. ვეკუას ნიკოლოზ გიორგის-ძეს — ქ. სოხუმის განათლების განყოფილების ინსპექტორს.

24. ვარდიაშვილს ბარბარე მათეს ასულს — ქ. თბილისის 18 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

25. ვიბორნოვს კუზმა ივანეს-ძეს — ქ. თბილისის 58 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.

26. ზედგენიძეს იაკობ სიმონის-ძეს — პერსონალურ პენსიონერს.

27. თვალაძეს მარიამ დიმიტრის ასულს — ქ. ბათუმის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

28. თაყაიშვილს ეკატერინე ნიკოლოზის ასულს — ქ. თბილისის 27 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

29. ისპანდიაროვას ევგენია იაკობის ასულს — ქ. თბილისის 70 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

30. კვაჭაძეს მიხეილ მოსეს-ძეს — ქ. თბილისის 19 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

31. კონდარიას სოკრატ ბერტყოს-ძეს — ქ. ონიმჩირის რ/გ. საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

32. კირბაიას გრიგოლ ბახვას-ძეს — ოტობაიას (აფხაზეთი) საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

33. კაკაიას ბაგრატ ანტონის-ძეს—ქ. სოხუმის საშუალო სკოლის აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

34. კოლბაიას ილია ტიმოთეს-ძეს — ქ. სოხუმის 2 რუსული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

35. ქეცბაიას ვლადიმერ კუზმას-ძეს — ბალის პირველი ა/ს. საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

36. კალანდიას სიდონია ივანეს ასულს — ქ. თბილისის 30 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

37. კალანდაძეს ელენე ფილიპეს ასულს— ქ. თბილისის 8 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

38. კალანდაძეს ოლღა ანანიას ასულს — ქ. თბილისის 15 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

39. კოგანს მარიამ ნიკოლოზის ასულს — ქ. თბილისის 94 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

40. ლოლუას მარიამ ელიზბარის ასულს— ქ. ბათუმის, ლენინის სახელობის პედსასწავლებელთან არსებულ დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

41. ლეონიკაიას ოლღა ქსაფერის ასულს — ქ. თბილისის 47 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

42. მათვეევას მარიამ ვლადიმერის ასულს — ქ. ბათუმის 21 დაწყებითი სკოლის გამგეს.

43. მაციოვიჩს ეკატერინე მიხეილის ასულს — ქ. ბათუმის ლენინის სახელობის პედსასწავლებლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

44. მაგილნაიას მარიამ გაბრიელის ასულს — ქ. ბათუმის 26 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

45. ნოვოსტრუევას რაისა ნიკოლოზის ასულს — პიელენკოვოს (აფხაზეთის) სომხური საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

46. ნიფარაძეს ნინო სამსონის ასულს — ქ. თბილისის 27 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

47. ნიფარაძეს ივანე თევდორეს-ძეს — ქ. თბილისის 1 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

48. ოკოროკოვას ბარბარე ერასტის ასულს — ქ. სოხუმის პედკაბინეტის გამგეს.

49. ორინიანსკაიას ანნა ივანეს ასულს — ქ. სოხუმის 7 არასრული საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

50. პეტრენკოს ვერა ვასილის ასულს — ქ. სოხუმის 2 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

51. პეტროსიანს აგანიკ გასპარის-ძეს — ქ. ახალი გაგრის სომხური ა/ს. საშუალო სკოლის დირექტორს.

52. პაშჩენკოს ალექსანდრა ბიქტორის ასულს — ქ. სოხუმის პედსასწავლებლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

53. პეტრაკოვსკაიას ტატიანა დანელიას ასულს — ქ. თბილისის 43 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

54. რურუას ფილიპე ისიდორეს-ძეს — ქ. თბილისის 26 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

55. სოლეიმეზოვს ქრისტეფორე გიორგის-ძეს — ქ. სოხუმის 2 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

56. სახაროვს გიორგი ვსევოლოდის ძეს — ქ. გაგრის საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

57. სახაროვას ანტონინა ალექსანდრეს ასულს — ქ. გაგრის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

58. სიხარულიძეს თინა იაკობის ასულს — ქ. ბათუმის ლენინის სახელობის პედსასწავლებელთან არსებულ ა/ს. საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

59. სამადაშვილს ნინო ვლადიმერის ასულს — ქ. თბილისის 32 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

60. სიხარულიძეს ილია ლუკას-ძეს — ქ. თბილისის 1 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

61. ტერ-ზაკარიანს გრიგოლ დავითის-ძეს — ქ. სოხუმის სომხური საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.

62. ტერ-გრიგორიანს სირანუშ სტეფანეს ასულს — ქ. თბილისის 94 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

63. ტიხამოროვს სოფიო ივანეს ასულს— ქ. თბილისის 47 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.

64. ფროლოვას ანნა ივანეს ასულს — ქ. სოხუმის ბერიას სახელობის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

65. ფარანგიშვილს ნინო ვასილის ასულს— ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

66. ფალავანდიშვილს ელენე პეტრეს ასულს — ქ. თბილისის 35 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

67. ფალავას ანნა პავლეს ასულს — ქ. თბილისის 1 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

68. ქართველიშვილს ბარბარე დავითის ასულს — ქ. თბილისის 3 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

69. ქავთარაძეს ანნა ლუარსაბის ასულს — ქ. ბათუმის კოუსკაიას სახელობის პედსასწავლებლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

70. ღვინიაშვილს არჩილ რომანოზის-ძეს — ქ. თბილისის 94 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

71. ყიფიანს მარიამ მიხეილის ასულს —

ქ. თბილისის 29 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

72. შუშანიას თეოდოსი ალექსანდრეს ასულს — ქ. თბილისის 20 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.

73. შიუკაშვილს ელენე მიხეილის ასულს — ქ. თბილისის 18 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

74. შკურინას სოფიო ივანეს ასულს — ქ. ბათუმის 26 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

75. შიმანოვსკაიას მარიამ ივანეს ასულს — ერმოლოვკას (აფხაზეთი) საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

76. ჩოჩუას ანდრია მაქსიმეს-ძეს — აფხაზეთის დამსახურებულ პედაგოგს.

77. ჩომახიძეს ილარიონ სპირიდონის-ძეს — ქ. თბილისის 37 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

78. ცაავას მაქსიმე ნიკოლოზის-ძეს — ქ. სოხუმის 5 ქართული საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

79. ციკოლიას სერაფიონ თენგიზის-ძეს— ქ. ოჩამჩირის რუსული ა/ს. საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

80. ჭეიშვილს დონია მიხეილის ასულს — ქ. ბათუმის ა/ს. საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

81. ჭრელაშვილს მარიამ ასლანის ასულს ქ. თბილისის 20 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

82. ძიძიგურს ვარლამ დავითის-ძეს — ქ. თბილისის მოზრდილთა საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

83. ხარაზიას ვერა ნიკოლოზის ასულს — ქ. სოხუმის აფხაზეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

84. ხიმშიევას მარიამ ანტონის ასულს — ქ. თბილისის 63 საშ. სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ვ. ბაჭრაძე

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვ. აღმასრ.
ი. ფელეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3193

საქ. სსრ განათლებს სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 2 ივლისს

ახალ სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ

ახალ სასწავლო წლისათვის მზადება მეტად საპასუხისმგებლო და საბრძოლო ამოცანების წინაშე აყენებს სახალხო განათლების ყველა ორგანოებს, სკოლებს, მასწავლებლებს. პირველ სექტემბრისათვის ყველა სკოლის ყოველმხრივი მზადყოფნა ძირითადი პირობაა სკოლებში მომავალ სასწავლო წლის პერიოდში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ საფეხურზე ასაყვანად.

სასწავლო წლისათვის მზადების საქმის ერთერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მასწავლებელთა მეთოდური თათბირების საუკეთესოდ ჩატარება, თათბირების უზრუნველყოფა ყველა საჭირო მასალებით, მათ მუშაობაში მასწავლებელთა სრული ასი პროცენტით მონაწილეობა. მასწავლებელთა აგვისტოს მეთოდური თათბირების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით **ვბრძანებ:**

1. მასწავლებელთა აგვისტოს რაიონული საინსტრუქციო თათბირების ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ წარმოდგენილი ინსტრუქცია დამტკიცდეს.

2. აჭარის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ოლქისა და რაიონულ (საქალაქო) განათლების განყოფილებათა გამგეები მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მასწავლებელთა თათბირების ორგანიზებულად და შინაარსიანად ჩატარების საქმეს: სექციის ხელმძღვანელად შეარჩიონ საუკეთესო მასწავლებლები და გაუწიონ მათ პრაქტიკული დახმარება. თათბირებზე მოაწყონ წარჩინებულ მასწავლებელთა მდიდარ გამოცდილების გაზიარება, უხელმძღვანელონ თათბირისათვის სასკოლო გამოფენის იმდაგვარად მოწყობის საქმეს, რომ გამოფენა ხელს უწყობდეს თათბირზე დასმულ საკითხების გაშუქებას. უზრუნველყონ თათბირებზე მასწავლებლების მთლიანად გამოცხადება და შეუქმნან თათბირის მონაწილეთ საჭირო პირობები (ბინა, კვება, განათება) მუშაობის ნაყოფიერად დამთავრებისათვის.

3. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოებმა, საშ. სკოლის კვლევითი ინსტიტუტთან და საქ. სახელგამთან ერთად უზრუნველყონ 1 და 2 კლასების სასწავლო დისციპლინათა მასალების მეთოდური დამუშავების რედაქტირება და წიგნებად გამოცემა 15 აგვისტომდე, ადგილებზე დაგზავნა კი 20 აგვისტომდე.

4. საშუალო სკოლების კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის დირექციამ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქციამ უზრუნველყონ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირისათვის საჭირო მეთოდური წერილების დამუშავება და დაბეჭდვა 15 აგვისტოსათვის, ადგილებზე კი დაგზავნა 20 აგვისტომდე.

5. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების ხელმძღვანელობის გასაწევად რაიონებში მივლინებულ იქნან განსახკომის ინსპექტორები, მათი თათბირი მოწვეულ იქნას 20 აგვისტოს.

6. თათბირების მუშაობის ანგარიში რაიონის განათლების განყოფილებებმა განსახკომს წარმოუდგინონ 5/9-დე.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის
მოადგილე — მ. ბურჯულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ:
განათლების სახ. კომისრის
მოადგილე მ. ზურეულაძე

ინსტრუქცია

მასწავლებელთა აგვისტოს რაიონული საინსტრუქციო თათბირების ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ.

1. ზოგადი ნაწილი.

1. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები წარმოადგენენ ახალ სასწავლო წლისათვის მასწავლებელთა მომზადების ერთიერთ ფორმას. თათბირების საუკეთესოდ ჩატარების საქმის პასუხისმგებლობა ეკისრება განათლების განყოფილების გამგეებს, სკოლების ხელმძღვანელებს და მათთან ერთად მთელ მასწავლებლობას.

II. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების ორგანიზაცია და ჩატარების წესი.

3. სკოლის დირექტორები (გამგეები) და სასწავლო ნაწილის გამგეები, ზუსტად აღრიცხავენ სასწავლო წლის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებით ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების დაყენებისა და გაკვეთილზე აღმზრდელობითი მუშაობაში არსებული მიღწევებს და ნაკლოვანებებს, და აქედანვე დასახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ახალ სასწავლო წლიდან მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

4. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია ინდივიდუალურად ემზადოს მასწავლებელთა აგვისტოს თათბირზე დასმულ საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობის მიღებისათვის.

განათლების განყოფილებანი, პედაგოგიური კაბინეტები და სკოლის ხელმძღვანელი მუშაკები ვალდებულნი არიან მასწავლებლებს ამ მიმართულებით აღმოუჩინონ საჭირო დახმარება.

5. მასწავლებელთა აგვისტოს საინსტრუქციო თათბირები ჩატარდება 28 აგვისტოდან 30 აგვისტომდე.

6. თათბირების დღის წესრიგი შემდეგი სახით ისაზღვრება:

1. გეგმიანობა და მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია სკოლებში.

II. სკოლის ტიპიური შინაგანაწესის განხილვა.

III. სექციური მუშაობა ცალკე კლასებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით.

7. პირველი ორი საკითხი მოსმენილი იქნება თათბირების პლენალურ სხდომებზე. ამ საკითხებზე მომსხენებლებად გამოყოფილი იქნებიან სათანადო მომზადების მქონე პირები განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მუშაკებიდან.

8. სექციების სხდომებზე შემდეგი საკითხები იქნება განხილული:

ა) **I კლასების მასწავლებელთა სექციაზე:**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი.

2. კომუნისტური აღზრდა მშობლიურ ენის გაკვეთილებზე.

ბ) **II კლასების მასწავლებელთა სექციაზე:**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი,

2. კომუნისტური აღზრდა მშობლიურ ენის გაკვეთილებზე:

გ) **III კლასების მასწავლებელთა სექციაზე:**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი,

2. კომუნისტური აღზრდა რუსული ენის, ისტორიის, გეოგრაფიის და ბუნებისმეტყველების სწავლებასთან დაკავშირებით.

დ) **IV კლასების მასწავლებელთა სექციაზე:**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი.

2. კომუნისტური აღზრდა ქართულ და რუსული ენების, ისტორიის, გეოგრაფიის და ბუნებისმეტყველების სწავლებასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) **ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციაზე:**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი,

2. კომუნისტური აღზრდა ლიტერატურული მასალის დამუშავებასთან დაკავშირებით.

3. წერითი ნამუშევრების გასწორება, ან წერითი ნამუშევრების სახეები.

ვ) **რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციაზე:**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი,

2. კომუნისტური აღზრდა რუსული ლიტერატურის მასალების დამუშავებასთან დაკავშირებით.

3. მოსწავლეთა წარმატების შეფასების ნორმები რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

ზ) **არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციაზე.**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი.

2. კომუნისტური აღზრდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით.

3. წერითი ნამუშევრების სახეები ან წერითი ნამუშევრების შეფასების ნორმები.

თ) **ისტორიის და სსრ კავშირის კონსტიტუციის მასწავლებელთა სექციაზე:**

1. ისტორიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამული მასალის ანალიზი.

2. კომუნისტური აღზრდა ისტორიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის სწავლებასთან დაკავშირებით.

ი) **მათემატიკის მასწავლებელთა სექციაზე:**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი.

2. კომუნისტური აღზრდა მათემატიკის სწავლებასთან დაკავშირებით.

3. მოსწავლეთა წარმატების შეფასების ნორმები მათემატიკაში ან წერითი მუშაობა ალგებრაში.

კ) **ფიზიკის მასწავლებელთა სექციაზე:**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი .

2. მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა ფიზიკის სწავლებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელთა სიმცირის გამო ფიზიკისა და მათემატიკის სექციების ცალცალკე მუშაობა მოუხერხებელია, დასაშვებია ამ სექციების გაერთიანება.

ლ) **გეოგრაფიის მასწავლებელთა სექციაზე:**

1. გეოგრაფიის პროგრამები და მასალების დაგეგმვა სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი.

2. მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა გეოგრაფიის სწავლებასთან დაკავშირებით.

მ) **ქიმიის მასწავლებელთა სექციაზე:**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის პროგრამების ანალიზი.

2. კომუნისტური აღზრდა ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით.

ო) **ბიოლოგიის მასწავლებელთა სექციაზე:**

1. სასწავლო წლის 1 მეოთხედის საპროგრამო მასალის ანალიზი.

2. კომუნისტური აღზრდა ბიოლოგიის სწავლებასთან დაკავშირებით.

3. „დარვინიზმის საფუძვლების“ სწავლების მეთოდიკა.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელთა სიმცირის გამო ქიმიისა და ბიოლოგიის სექციების ცალცალკე მუშაობა მოუხერხებელია, დასაშვებია ამ სექციების გაერთიანება.

პ.) **ხაზვის, ხატვის სიმღერისა და ფიზკულტურის მასწავლებლების სექციებზე:**

1. სასწავლო წლის პირველი ნახევრის პროგრამების ანალიზი.

2. კლასგარეშე მუშაობა ხატვასა, ფიზკულტურასა და სიმღერაში.

9. განათლების განყოფილებათა გამგეები პედაგბინტებთან ერთად სექციების ხელმძღვანელებად და მომხსენებლებად შეარჩევენ საუკეთესო მეთოდისტ — მასწავლებლებს მოხსენებისათვის საფუძვლიანად მომზადების მიზნით უნდა გაეწიოს წინასწარ საჭირო დახმარება, ლიტერატურის მიწოდებით, კონსულტაციებით და სხვა.

კომუნისტური აღზრდის საკითხებზე მოხსენებებით გამოვლენ საფუძვლიანი მომზა-

დებისა და გამოცდილების მქონე მასწავლებლები. მოხსენებებს უნდა ექნეს კონკრეტული ხასიათი ცოცხალი ნიმუშების ჩვენებით. უნდა იქნას დასურათებული სასწავლო დისციპლინების სწავლების აღმზრდელობითი მნიშვნელობა. სკოლის დირექტორებმა ამ მიმართულებით მასწავლებლებს აღმოუჩინონ საჭირო დახმარება.

10. თათბირების მიმდინარეობის პერიოდში მოწყობილი უნდა იქნას გამოფენა, გამოფენის მოწყობას უზრუნველყოფს რაიონული პედაგოგიური კაბინეტი. გამოფენაში უნდა იქნას წარმოდგენილი ცალკე სასწავლო დისციპლინების მიხედვით (ქიმია, ფიზიკა, ბუნებისმეტყველების, ისტორიის, ლიტერატურის და სხვა) მოსწავლეთა ნამუშევრების საუკეთესო ნიმუშები, კარგად შედგენილ სკოლის აღმზრდელობითი გეგმები, გაკვეთილის გეგმები, საუკეთესოდ შედგენილი გაკვეთილების ცხრილი, მოსწავლეების საუკეთესო წერითი ნამუშევრები, სანიმუშოდ მოგლილი სახელმძღვანელოები, პროგრამები, ახლად გამოსული ყველა სახელმძღვანელოების ნიმუშები და სხვ.

11. განათლების განყოფილებათა გამგეებმა 25/8-ს უნდა მოიწვინონ სკოლის დირექტორების, სექციის ხელმძღვანელებისა და მომხსენებლების თათბირი, სადაც განიხილება ეს ინსტრუქცია და დაისახება კონკრეტული ღონისძიებანი მასწავლებელთა საინსტრუქციო თათბირის წარმატებით ჩატარებისათვის.

საშ. სკოლის სამმართვ. უფროსის მოვალეობის დრ. აღმასრულებელი — ო. ოგოლაძე

დაწყ. სკოლის სამმართვ. უფროსის მოადგილე — გ. სარიშვილი

ბრძანება № 3393

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 17 მაისს

ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მუშაობის შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მიერ 1938/39 სასწავლო წელში ჩატარებული მუშაობის შედეგების შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მუშაობაში ადგილი აქვს მიეულ რიგ სერიოზულ გარღვევებსა და დამახინჯებებს, რომელთა შორის ძირითადია შემდეგი:

1. სისტემატურად მცირდება დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ სტუდენტთა რაოდენობა და ადგილი აქვს სტუდენტთა მასობრივ გარიცხვას. მაგალითად 1938 წლის 1 ოქტომბრისათვის დაუსწრებელ განყოფილებაში ირიცხებოდა 3654 სტუდენტი; სასწავლო წლის დასაწყისში გაირიცხა მთლიანად 1868 სტუდენტი, დარჩა 1786 კაცი. პირველ კურსზე მიღებულ იქნა 416 სტუდენტი, სულ 2202; აქედანაც განითესა 133 კაცი და ამრიგად მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის ინსტიტუტს დარჩა მხოლოდ 2969 სტუდენტი.

2. ძალზე მცირეა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ სტუდენტთა მიერ სასწავლო საგნების ჩაბარების პროცენტი: 1938 წლის 1 სექტემბრიდან 1939 წლის 9 ივნისამდე ინსტიტუტის 2114 სტუდენტიდან 1109 კაცს არც ერთი საგანი არა აქვს ჩაბარებული, 721 კაცს მხოლოდ 1—2 საგანი ჩაუბარებია და მხოლოდ 333 კაცს აქვს ჩაბარებული ყველა სავალდებულო საგანი.

3. 1935 წლიდან დღემდე ინსტიტუტი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრებია სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებით მხოლოდ 45 კაცს. მიმდინარე სასწავლო წელს სახელმწ. გამოცდებზე უნდა გამოცხადებულიყო 28 დიპლომატი (16 კაცი ძველი კურსდამთავრებული და 12 ახალკურსდამთავრებული); ამათგან მხოლოდ 8 კაცი გამოცხადდა და აბარებდა გამოცდებს.

4. სრულიად დარღვეულია ინსტიტუტში საკავშ. სახკომსაბჭოს 1938 წლის 29 აგვისტოს დადგენილება დაუსწრებელ ინსტიტუტში საშტატო-საგანაკვეთო სისტემის შემოღების შესახებ და მის საფუძველზე უმაღლესი სკოლების სამმეთა საკავშ. კომიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის დამტკიცებული საშტატო განაკვეთების ცხრილი. ინსტიტუტისათვის მიმდინარე სასწავლო წელში დამტკიცებულია დოცენტის 84 საშტატო ერთეული, ფაქტიურად ათვისებულია მხოლოდ 21 ½ ერთეული, აუთვისებელია 62 ½ ერთეული. ასისტენტები დამტკიცებულია 16 კაცი, ათვისებულია 7,6 კაცი და სხვა.

დოცენტის შტატში აყვანილი პირებიდან ფაქტიურად დოცენტის სამეცნიერო წოდება მიეებული აქვს მხოლოდ 5 კაცს, დანარჩენი უხარისხოა,—უმთავრესად ასისტენტები, რომელთაც ლექციის წაკითხვის უფლებაც არა აქვთ.

5. შტატის თანამშრომელთა უდიდესი უმრავლესობა სრულიად დაუტვირთავია. შტატის დოცენტებს ა. წ. 1 იანვრიდან უნდა ჩაეტარებინათ სულ 7.914 საათი, ფაქტიურად მათ მიერ ა. წ. 11 ივნისამდე ჩატარებულია მხოლოდ 2.445 საათი. ზოგიერთი შტატის თანამშრომელს მხოლოდ დაწყებული აქვს მუშაობა და რამდენიმე საათის ჩატარება მოუსწრია. დოც. გ. ჯიბლაძეს ჩატარებული აქვს 10 საათი, იანვრიდან დღემდე კი მიღებული აქვს ხელფასი 1500 მანეთი. ამრიგად მისი თითო საათი ინსტიტუტს 150 მან. დაუჯდა; გიორგი გაბუნიას ჩატარებული აქვს მხოლოდ 19 საათი. მიღებული აქვს ხელფასი 1275 მან., მისი თითოეული საათი დაჯდა 68 მანეთი და ა. შ.

6. ინსტიტუტისათვის გარდა საშტატო განაკვეთებისა დამტკიცებული იყო აგრეთვე ფონდი საათობრივი ანაზღაურებისათვის ხელფასის 39 %-ის რაოდენობით. ამ ფონდიდან მოწვეული ძალებით ჩატარებულია სულ 4282 საათი, დაახლოებით 200 %-ით მეტი, ვიდრე შტატის თანამშრომლებისაგან, რაც სრულიად არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

7. სტუდენტებისადმი მომსახურება ინსტიტუტში სრულიად არადამაკმაყოფილებელია. გარდა იმისა, რომ სასწავლო გეგმა არ არის შესრულებული, ინსტიტუტს უდიდესი გარღვევა აქვს საკონტროლო თემების დამუშავების დარგშიაც. ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა დროს დაეგზავნა სტუდენტებს სულ 6417 საკონტროლო დავალება. აქედან შესრულებული და მიღებულია მხოლოდ 82, რომელთა რეცენზირება ინსტიტუტს დღემდე ვერ მოუხერხებია. ზოგი საკონტროლო დავალება დამზადებული კათედრების მიერ ინსტიტუტის დირექციას დღემდისაც არ დაუგზავნია სტუდენტებისათვის. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს დეკანმა ამხ. კაპანაძემ განაცხადა, რომ მის მიერ 2-3 თვის წინათ დამზადებული საკონტროლო თემები ორგანიულ ქიმიაში, ზოოლოგიაში და მცენარეთა ანატომიასა და ფიზიოლოგიაში დღესაც არ არის დაგზავნილი სტუდენტებისათვის.

8. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პედ. ინსტიტუტის კათედრები დაუსწრებელი განყოფილების ხაზით. ადგილი აქვს კათედრების ნებართვის გარეშე ლექტორების დანიშვნას დაუსწრებელთა შორის სამუშაოდ (ამხ. გ. კვირიკაძეს მიეცა არა სპეციალური საგანი—კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომ. გეოგრაფია და სხვ.).

9. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ინსტიტუტის საკონსულტაციო პუნქტებიც. თვით ინსტიტუტიც ნაკლებ ხელმძღვანელობას უწევს მათ.

10. ჩაშლის კარამდეა მისული პირველი კურსების დაკომპლექტების საქმე. ა. წ. 11 ივნისისათვის ინსტიტუტში შემოტანილი იყო მხოლოდ 28 განცხადება, მისაღებია 450 კაცი. საკონკურსო გამოცდები კი ა. წ. 25 ივნისს დაიწყო.

11. დაუსწრ. ინსტიტუტი არ აღმოჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსებით მზად საზაფხულო სესიების ჩატარებისათვისაც. არ იყო შედგენილი სესიების ცხრილი და ყველა ლექტორებთანაც არ იყო გაფორმებული ხელშეკრულებანი. აგრეთვე არ იყო გამოძებნილი სათანადო ბინები სამეცადინოდ.

12. ქუთაისის პედინსტიტუტის დირექციის ხელმძღვანელობაც დაუსწრებელ განყოფილებაზე არადამაკმაყოფილებელია. 1938 წლის 29-10 და 1939 წლის 20-3-ს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მოუსმენია ინფორმაცია დაუსწრებელი განყოფილების მუშაობის შესახებ და მიუღია სათანადო დადგენილებანიც. მაგრამ რადიკალური გარდატეხა განყოფილების მუშაობაში მათ მაინც არ გამოუწვევია. ძალზე სუსტად მუშაობენ დაუსწრებელი განყოფილების დეკანებიც. არ ჩანს დეკანებისა და განყოფილების ხელმძღვანელების კოლეტიური მუშაობა.

13. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ დაუსწრებელთა შორის რაიონული განათლების განყოფილებებიც. ისინი ნაკლებად ზრუნავენ მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში გაწერთიანებასა და დაუსწრებელთათვის მუშაობის პერიოდში დახმარების აღმოჩენისათვის. არ აძლევენ დაუსწრებლებს კუთვნილ შვებულებებს, ზედმეტად ტვირთავენ მათ სხვადასხვა დავალებებით და არ იცავენ სახკომსაბჭოს 1938 წლის 29 აგვისტოს დადგენილებას—„უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების შესახებ“.

14. არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს დაუსწრებელ სწავლებას უმაღლესი სკოლების სამმართველოც.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მიერ 1938-39 სასწავლო წელში ჩატარებული მუშაობა ჩაითვალოს სრულიად არადამაკმაყოფილებლად.

2. მიეთითოს ქუთაისის პედინსტიტუტის დირექციას და ფაკულტეტების დეკანებს დაუსწრებელ განყოფილებისადმი სუსტ ხელმძღვანელობაზე.

3. დაუსწრებელი განყოფილების გამგის ამხ. შოთა სიამაშვილის შესახებ, საკითხი იმის გამო რომ მან ვერ უზრუნველჰყო ხელმძღვანელობის გაწევა დაუსწრებელ განყოფილებაზე და მისი მუშაობის პერიოდში ვერ შესძლო განყოფილების გამოყვანა გარღვევების მდგომარეობიდან,—სპეციალურად დანიშვა კოლეგიის სხდომაზე,—მისი მოსკოვში მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ.

4. დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო მუშაობის ჩაშლისათვის მოიხსნას თანამდებობიდან დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო ნაწილის გამგე ამხ. სამხარაძე. დაუსწრებელი განყოფ. სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობის შესრულება დროებით დაეკალოს პედინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, სასწავლო-სამეცნიერო დარგში ამხ. ივ. გვერდწითელს.

5. დაეკალოს პედინსტიტუტის დირექტორს ამხ. ლ. ჭელიძეს გადასინჯოს დაუსწრებელი განყოფილებების აპარატი თანამშრომელთა შეთავსებით სამუშაოებიდან განთავისუფლების მიზნით და შტატის ლექტორთა შემადგენლობა მათი კვალიფიკაციისა და დატვირთვის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

6. დაუსწრებელი განყოფილების გამგის ამხ. შ. სიამაშვილის ჩამოსვლამდე პირადი პასუხისმგებლობა დაუსწრებელი განყოფილების მთელი მუშაობისათვის და განსაკუთრებულად საზაფხულო სესიების ჩატარებისა და პირველ კურსების, დამტკიცებული კონტიგენტის რაოდენობით, დაკომპლექტების საქმეში დაეკისროს პედინსტიტუტის დირექტორს ამხ. ლუკა ჭელიძეს.

7. დაეკალოს პედინსტიტუტის კათედრათა გამგეებს:

ა) დროულად შეარჩიონ პროფესორ-ლექტორები დაუსწრებელი განყოფილებისათვის იმ დისციპლინებში, რომლებიც მათ კათედრაში შედის;

ბ) განახორციელონ სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი დაუსწრებელი განყოფილების ხაზით მომუშავე ლექტორების ლექციებსა და კონსულტაციებზე, პერიოდულად მოისმინონ კათედრათა სხდომებზე ინფორმაციები მათი მუშაობის შესახებ;

გ) დამუშაონ საკონტროლო თემები იმ სასწავლო საგნებში, რომლებშიაც სახელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღვანელობები და დამხმარე ლიტერატურა მოიპოვება და დროულად უზრუნველჰყონ მიღებული საკონტროლო შრომების რეცენზირება და შეფასება.

8. დაეკალოს ქუთაისის პედინსტიტუტის დირექციას:

ა) მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაუსწრებელ განყოფილებაში ჩარიცხულ სტუდენტთა მასობრივი განთესვისა და მათი მექანიკურად გარიცხვის სალიკვიდაციოდ; ამ მიზნით დროულად გააფრთხილოს ისინი: რაიონების მიხედვით, განათლების განყოფილებასთან შეთანხმების, პერიოდულად ჩაატაროს ახსნა-განმარტებითი მუშაობა დაუსწრებლებთან და უზრუნველჰყოს საგამოცდო სესიებზე მათი ორგანიზებულად გამოცხადება;

ბ) განახორციელოს სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მთლიანად და ვადაზე შესრულების უზრუნველსაყოფად;

გ) მიიღოს ზომები, დაუსწრებელი განყოფილების მაღალკვალიფიციური პროფესორლექტორებით დასაკომპლექტებლად;

დ) საფუძვლიანად შეამოწმოს რაიონული საკონსულტაციო პუნქტების მუშაობა დაუსწრებელთა შორის და შეცვალოს იმ საკონსულტაციო პუნქტების ხელმძღვანელები, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს საკონსულტაციო პუნქტების მუშაობის გაშლა დაუსწრებელთა შორის;

ე) პერიოდულად იქნას მოსმენილი დირექციისა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაუსწრებელი განყოფილებისა, დეკანებისა და კათედრათა გამგეების ინფორმაციები მათ მიერ დაუსწრებელი სწავლების დარგში ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ და დასახულ იქნას პრაქტიკული ღონისძიებანი მათი მომავალი მუშაობის გარდასაქმნელად.

9. დაეკალოს უმაღლესი სკოლების სამმართველოს:

ა) შეამოწმოს განათლების განყოფილებათა მუშაობა მსწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმის უზრუნველსაყოფად და დაუსწრებლებზე იმ შეღავათების (დატვირთვის შემცირება, წარჩინებულთათვის შვებულების მიცემა სესიებისთვის მოსამზადებლად, საგზურების განაღდება და სხვა) გასავრცელებლად, რომელნიც გათვალისწინებულია საკ. სახკომსაბჭოს 1938 წ. 29 აგვისტოს დადგენილებაში „უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების შესახებ“.

ბ) დროულად უზრუნველჰყოს დაუსწრებელი განყოფილება სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით;

გ) განამტკიცოს დაუსწრებელი განყოფილება მაღალკვალიფიციური პროფესორლექტორთა შემადგენლობით;

დ) გააძლიეროს კონტროლი და პერიოდულად შეამოწმოს დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო და საორგანიზაციო მუშაობა და სტუდენტთა მომსახურების მდგომარეობა;

ე) ა. წ. 20 ივლისამდე შეამოწმოს დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსების დაკომპლექტებისა და საზაფხულო სესიების შედეგები და დასახოს ღონისძიებანი მომავლისათვის;

ვ) სამი დღის ვადაში წარმოადგინოს შესაფერი კანდიდატი დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობაზე დასანიშნავად.

10. განთავისუფლდნენ ქუთაისის პედინსტიტუტის ფაკულტეტების დეკანები შეთავსებით დაუსწრებელ განყოფილებაზე ფაკულტეტების დეკანის მოვალეობისაგან და ა. წ. 10 ივლისიდან დამტკიცდეს პედინსტიტუტის ფაკულტეტების დეკანების მოადგილეების თანამდებობა დაუსწრებელი განყოფილების ფაკულტეტების მიხედვით.

11. დაეკალოს ქუთაისის პედინსტიტუტის დირექციას, უმაღლესი სკოლების სამმართველოსთან ერთად, შეარჩიოს და დანიშნოს შესაფერი პირები ინსტიტუტის დეკანების მოადგილეებად დაუსწრებელი განყოფილების ფაკულტეტების ხაზით.

განათლ. სახ. კომისრის მოადგილე
ლ. გეგეშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2337

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატისადმი.

1939 წ. 2 ივნისს.

წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა სწავლების და საერთო მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინაროების და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის შესახებ.

წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა სწავლების და საერთოდ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინაროების და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის საკითხზე ჩატარდეს სპეციალურად განგ. განყოფილებათა გამგეების წ-კ. უც. და მცირემცოდნეთა სკოლების ინსპექტორების და მოწინავე მასწავლებელთა ჯგუფური სარაიონოთაშორისო თათბირები და აღნიშნულ საკითხზე მოსმენილ იქნას განგ-განყოფილებათა გამგეების მოხსენებანი.

2. სარაიონთაშორისო თათბირი მოეწყოს ა/წ. 16—17 ივნისს:

ა) ქ. თბილისში გამოძახებულ იქნ: აღბულახის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, ყარაიაის, თიანეთის, წალკის, ბაშკიჩეთის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის და ქალაქ თბილისის ხუთივე რაიონის განათლ. განყოფილების გამგეები.

ბ) ქ. ბათუმში (თათბირი იმუშავებს აჭარის ასსრ განსახკომში) გამოძახებულ იქნან: ლანჩხუთის, მახარაძეს, ჩოხატაურის, ხულოს, ქედას, ქობულეთის, ქალაქ ბათუმის რაიონის განგ. განყოფილებათა გამგეები.

გ) ქ. ქუთაისში (თათბირი იმუშაევს განგ-განყოფილებაში) გამოძახებულ იქნან: ბაღდათის, სამტრედიის, ზესტაფონის, ონის, ტყიბულის, ჩხარის, ცაგერის, ამბროლაურის, წულუკიძეს, ჭიათურის, ვანის და ქვემო-სვანეთის განგ. განყოფილებათა გამგეები.

დ) ქ. სოხუმში (თათბირი იმუშავებს განსახკომში) გამოძახებულ იქნან: გალის, ოჩამჩირეს, ქ. სოხუმის, გუდაუთის, გაგრის და სოხუმის განგ. განყ. გამგეები.

ე) ქ. ზუგდიდში (თათბირი იმუშავებს განგ. განყოფილებაში) გამოძახებულ იქნან: აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ფოთი-ხობის, ზემო-სვანეთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ქ. ზუგდიდის განგანყოფილებათა გამგეები.

ვ) ქ. ახალციხეში (თათბირი იმუშავებს განგ. განყოფილებაში) გამოწვეულ იქნან: ადიგენის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძას და ახალციხის განგ. განყოფილ. გამგეები.

ზ) ქ. თელავში თათბირი იმუშავებს განგ. განყოფილებაში) გამოწვეულ იქნან: ყვარელის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის და თელავის განგ. განყ. გამგეები.

თ) ქ. გორში თათბირი იმუშავებს განგ. განყოფილებაში) გამოძახებულ იქნან: ხაშურის, ბორჯომის, ორჯონიკიძეს, კასპის, ქ. ჯავის, ზნაური, ლენინგორის და სტალინირის განგ. განყოფილებათა გამგეები.

თათბირი იწარმოებს დილის 11 საათიდან.

3. დამტკიცდეს მოზრდ. განათლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი კითხვარები (თან ერთვის).

4. ვავალებ განგ. განყოფილებათა გამგეებს — აღნიშნულ კითხვების მიხედვით შეადგინონ წერილობითი მოხსენებანი ცალ-ცალკე (რაიაღმასკომის თავ — რის, სამხედრო კომისრის და განგ. განყოფილების გამგის ხელმოწერით) და თათბირის გახსნამდე გადასცენ განსახკომის წარმომადგენელს.

5. თვითეულმა რაიონმა თათბირზე მოავლინოს, განგ. განყოფილების ხარჯზე, წერა-კითხვის უცოდინართა ან მცირემცოდნე წვევამდელთა სკოლის თითო მოწინავე მასწავლებელი ან კულტარმიელი.

6. თათბირის ხელმძღვანელობას ვავალებ ქ. თბილისში ამხ: მუჩიაშვილს, ქ. ბათუმში ამხ. ცინცაძეს, ქ. ქუთაისში ამხ. პაპკორიას, ქ. სოხუმში ამხ. ბოკერიას, ქ. ზუგდიდში ამხ. ვ. დემურიას, ქ. თელავში ამხ. მეტრეველს, ქ. გორში ამხ. ი. ორჯონიკიძეს და ქ. ახალციხეში ამხ. ს. ისრაელიანს.

7. წვევამდელთა სწავლების მიმდინარეო-

ბის შესამოწმებლად ადგილზე დახმარების გასაწევად და თათბირის ჩასატარებლად მიწვნინებულ იქნან:

1. ახალციხესა და ახალქალაქში ამხ. ისრაელიანი, 6 დღით., 2. წალკასა, ყარაიაზსა და ბორჩალოში ამხ. იოსელიანი, 10 დღით, 3. ლაგოდეხში, გურჯაანში და თელავში ამხ. მეტრეველი, 10 დღით, 4. ქ. ბათუმსა და ბათუმის რაიონში ამხ. ცინცაძე, 6 დღით, 5. ქ. სოხუმსა და გალში ამხ. ბოკერია, 8 დღით., 6. გეგეჭკორში, ხობში და ზუგდიდში ამხ. დემორია, 8 დღით., 7. ქ. ქუთაისში, ბაღდათში და ტყიბულში ამხ. პაჭკორია, 10 დღით, 8. გორში, ხაშურში და კასპში ამხ. ორჯონიკიძე, 6 დღით.

8. თათბირზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა 20 ივლისს, 12 საათამდე, წერილობით წარმომიდგინონ პირადად მე თათბირის ჩატარების შედეგები და ადგილებიდან მიღებული წერილობითი მოხსენებანი.

9. ვავალებ ამხ. მუჩიაშვილს და პაჭკორიას სარაიონოთაშორისო თათბირის მასალების მიხედვით დაამუშაონ სათანადო ღონისძიება და 25 ივნისამდე წარმომიდგინონ მე კოლეგიაზე განსახილველად.

10. ვაფრთხილებ განგ. განყ. გამგეებს, რათა დაუგვიანებლივ და ყველა საჭირო მასალით გამოცხადდნენ თათბირის ადგილზე.

საქ. სსრ განათლების სახ.

კომისარი ბ. კიკნაძე

ბრძანება № 2422

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატისადმი.

1939 წ. 8 ივნისს

1934, 1935 და 1936 წლებში განსახკომის სისტემის უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების შესახებ.

1. დაშვებულ იქნან სახელმწიფო გამოცდებზე 1934, 1935 და 1936 წლებში განსახკომის სისტემის უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულები 1939 წლის ოქტომბერში და 1940 წლის ივნისში.

2. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება მოხდეს ყველა იმ საგნებში, რომლებიც გამოტანილი იყო სახელმწიფო გამოცდებზე კურსდამთავრებულთა მიერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების პერიოდში. გარდა ამისა სავალდებულოა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ჩაბარება. საგნების ჩაბარება მოხდეს ამჟამად მომქმედ პროგრამების მიცულობით.

იმ პირებს, რომლებიც ჩაბარებენ სახელმწიფო გამოცდებს, დიპლომები მიეცემათ იმ ფორმით, რომელიც დაწესებული იყო კურსდამთავრებულთა მიერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების პერიოდში.

3. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ყიფშიძემ, და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა, ამხ. ჭელიძემ, შეიმუშაონ ფაკულტეტების, სექციებისა და სპეციალობის მიხედვით დაზუსტებული სია იმ სასწავლო დისციპლინებისა, რომლებიც გამოტანილი იყო სახელმწიფო გამოცდებზე 1934, 1935, 1936 წლებში და წარმოადგინონ ა-წ. 20 ივნისისათვის.

4. უმაღლესი სკოლის სამმართველომ ცენტრალური პრესის საშუალებით გააფრთხილოს კურსდამთავრებულები მათი სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების პირობებისა და გამოცდების ჩაბარების უკანასკნელი ვადის შესახებ და, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ ისინი არ იქნებიან დაშვებულნი სახ. გამოცდებზე და ვერ მიიღებენ უმაღლესი სასწ. დამთავრების დიპლომს.

საქ. სსრ განათლების სახ.

კომისარი ბ. კიკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2263

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატისადმი.

1939 წ. 25 მაისს.

ჭიათურის რაიაღმასკომის განათლების განყოფილების ფინანსიური დოკუმენტალური რევიზიის შესახებ.

გავეცანი რა ჭიათურის რაიაღმასკომის განათლების განყოფილების 1938 წ. ფინანსიურ დოკუმენტალურ რევიზიის მასალებს, აღვნიშნავ, რომ სამეურნეო-ფინანსიურ საქმიანობაზე განათლების განყოფილების გამგის მხრივ სრულიად არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და სანგარიშო დარგის უხეირო მუშაობის შედეგად დაშვებულია ხარჯთაღრიცხვის მუხლებს შორის 354.500 მან. და კერძოდ ხელფასში 171.000 მან. გადახარჯვა; 1938 წლის განმავლობაში გაწეულია განათლების განყოფილების მიერ სხვადასხვა სახის უკანონო და ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯები 123.000 მან. რაოდენობით, მათ შორის:

1. მმართველობის აპარატში აყვანილია შტატგარეშე 6 მუდმივი თანამშრომელი, რომელზედაც გაცემულია 14.520 მან.

2. მთელ რიგ სკოლებში შექმნილია ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი სხვადასხვა მუდმივი თანამშრომელთა შტატები, დარღვეულია დამტკიცებული განაკვეთები, რის შედეგად გადახარჯულია 25.550 მან.

3. მასწავლებელთა ხელფასების არასწორი გაანგარიშების შედეგად მასწავლებლებზე ზედმეტადაა გაცემული 13.660 მან.

4. გაცემულია სხვადასხვა პირებზე შვებულების ნაცვლად კომპენსაციები 28.000 მანეთის რაოდენობით.

5. გადარიცხულია ჭიათურის სახელმწიფო თეატრზე სკოლების სამეურნეო ხარჯებიდან 24.000 მან. მოწაფეთა სპექტაკლებზე დასწრებისათვის და პიესა „ხალხის რჩეულთა“ დადგმისათვის—10.000 მან.

6. გაწეულია სარაიონო ოლიმპიადის ხარჯები 3980 მან.

7. გაცემულია ჯილდოები განათლების განყოფილების თანამშრომლებზე და სხვადასხვა პირებზე 5000 მანეთი.

8. გაწეულია სხვადასხვა სახის უკანონო ხარჯები 8620 მან. რაოდენობით და სხვა; ფინანსიური მუშაობისადმი უყურადღებობის შედეგად განათლების განყოფილებას 1938 წელში აკლია 80.500 მან. ხელფასის უწყისები, რომელიც ჯერ კიდევ დაუბრუნებელია სკოლების დირექტორების მიერ. ადგილი ჰქონდა ერთი ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე დროებით გამოყენების მიზნით თანხების გადაჯგუფებას, მაგ., სამავშვო ბაღების ანგარიშიდან გადარიცხულია და გამოყენებულია სხვა დანიშნულებისათვის 87.900 მან. მიმდინარე ანგარიშების შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ გამოტანილია სახბანკიდან 1070 მან., რომლის მიღების საბუთები ბუხჰალტერიაში არ აღმოჩნდა; განათლების განყოფილება ხელფასის გამოწერის დროს ყურადღებას არ აქცევდა მასწავლებელთა სწორ დათანრიგებას, მათი სტაჟისა და ცენზის მიხედვით. მაგ.: პერევისის ა/სრ. საშ. სკოლის ყოფილმა დირექტორმა გერმანე თოდრიამ უწყისების გამოწერის დროს 3 წლის სტაჟის ნაცვლად ხელფასი გამოიწერა 6 წლის სტაჟის მიხედვით, რითაც ზედმეტად მიიღო 335—44 კაპ.; კორბოულის საშ. სკოლის დირექტორმა ერასტი კაპანაძემ 5 წლის სტაჟის ნაცვლად ხელფასი გამოიწერა 11 წლის სტაჟის მიხედვით და ზედმეტად მიიღო 813 მან. 72 კაპ.; საირხის ა/სრ. საშ. სკოლის დირექტორმა გრ. ქემერტელიანმ ზედმეტად მიიღო 520 მან.; არგვეთის საშ. სკოლის მასწავლებელმა სტ. პაპიჯანოვმა ბუხჰალტერიის მოტყუებებით შესძლო ივნისის თვის ხელფასი 636 მან. მეორეჯერ მიეღო; პერევესის დ/სკოლის გამგეს გ. ბრეგვაძეს 4 წლის სტაჟის ნაცვლად ხელფასი გამოწერილი აქვს 6 წლის სტაჟის მიხედვით და ზედმეტად აქვს მიღებული 420 მან.; ბერჯევის ა/სრ. საშ. სკოლის მასწავლებელმა სიმონ კაპანაძემ 3 წლის სტაჟის ნაცვლად ხელფასი გამოიწერა

6 წლის სტაჟის მიხედვით, რითაც შესძლო ზედმეტად მიეღო წლის განმავლობაში 1140 მანეთი და სხვა.

საგრძნობი თანხებია დაბანდებული ანგარიშვალდებულ პირებზე და დებიტორებზე, ჯამით 75.800 მან. ადგილებზე შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ საბავშვო ბაღებში და საბავშვო სახლებში ცუდად არის დაყენებული პროდუქტების აღრიცხვის საქმე. არ არის დაცული ალმზრდელთა კვების ნორმები. მ/მოსამსახურეთა პერსონალი სარგებლობს უფასო კვებით და სხვა. ადგილი აქვს კერძო ბაზარზე კვების პროდუქტებისა და სხვა მასალების გაზრდილ ფასებში შეძენას; არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია სკოლებში და სხვა ქვემდებარე დაწესებულებებში 1939 წლის 1-ლ იანვრისთვის; არ არის შედგენილი 1938 წლის ცალკეული სკოლების ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვები და სხვა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან **ვბრძანებ:**

1. ჭიათურის რაიაღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ღვალაძე საფინანსო-საბიუჯ. დისციპლინის დარღვევისათვის, ანგარიშწარმოების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისადმი ყურადღების მიუქცევლობისა და სახელმწიფო თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვის დაშვებისათვის განთავისუფლდეს სამუშაოდან.

2. ფინანსიური მუშაობისადმი უყურადღებობისა და საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის უხეში დარღვევისათვის, უკანონო ხარჯვების გატარებისათვის, ანგარიშწარმოების ცუდად დაყენებისა და მასწავლებელთა ხელფასის გაცემის საკითხში დაშვებულ დამახინჯვებისათვის მოიხსნას განგ. განყოფილების ბუხჰალტერი ივანე ყიფშიძე და მიეცეს პასუხისგებაში.

3. დაეალოს განათლების განყოფილებას:

ა) გაანთავისუფლოს ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი საშტატო ერთეულები, როგორც მმართველობის აპარატში, ისე სკოლებში და შესწყვეტოს ხელფასების გაცემა ბიუჯეტში დამტკიცებულ განაკვეთზე ზევით.

ბ) უზრუნველჰყოს იმ დირექტორებისა და მასწავლელებისაგან უკანონოდ მიღებული თანხების დაბრუნება, რომლებმაც განათლების განყოფილებიდან, სტაჟისა და ცენზის არასწორად ჩვენებით, მიიღეს ზედმეტი თანხები.

გ) მიიღოს ზომები დაკარგული თანხის 1070 მან. ასანაზღაურებლად, დანაკლისი უწყისების აღსადგენად და დაადგას ადმინისტრატიული სასჯელი ხელფასის გაცემის უწყისების დაგვიანებით წარმოდგენის საქმეში დამნაშავე პირებს.

დ) უზრუნველჰყოს 1939 წლისათვის სკოლების ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვების შედგენა და არ დაუშვას მომავალში სახელმწიფო თანხების ხარჯვა არადანიშნულებისამებრ და მტკიცედ დაიცვას საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინა.

4. დაეალოს განათლების განყოფილებას, საბავშვო ბაღების გამგეებს და საბ. სახლის გამგეს — მოიყვანონ წესრიგში პროდუქტების აღრიცხვის საქმე და არ დაუშვან მომავალში მუშა-მოსამსახურეთა უფასო კვება.

5. განათლების განყოფილებამ დეტალურად შეისწავლოს იმ დირექტორების და მასწავლებლების საკითხი, რომლებმაც განათლების განყოფილების შეცდომაში შეყვანით (სტაჟისა და ცენზის არასწორად ჩვენება) მიიღეს ხელფასი კუთვნილზე მეტი რაოდენობით და მასალები წარმოადგინოს განსახილველად.

6. დაეალოს განსახკომის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს—მიაგლინოს ჭიათურის განგ. განყ. ერთი ფინ. მომუშავე ფინანსიური საქმეების მოსაწესრიგებლად.

საქ. სსრ განათლების სახ.

კომისარი ბ. კიკნაძე

პ/მგ. რედაქტორი **ლ. ფეფეშიძე**

პ/მგ. მდივანის მოვალეობის დრ. აღმასრულებელი **ზ. ჯაფარიძეშვილი.**

გადაეცა წარმოებას — 7/VII — 1939 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად — 5/VIII — 39 წ. მოცულობა — 60.000 ნიშანი, ფორმა—1 სასტამბო საავტორო 1½ ზომა—8×12 ჭიალდის—70×108 მთავლიტის რწმ № 8—474 შეკვეთა № 2283

გამომცემლობა „ბარია ვოსტოკა"-ს სტამბა. რუსთაველის პრ. № 36. ტირაჟი 5000.

უფასოდ
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

კრებული

№ 4-5 აპრილი-მაისი 1939 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 2077—შრომის დისციპლინის მოწესრიგების შესახებ 2
2. ტიპიური შინაგანაწესი დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მუშაკთათვის 4
3. ინსტრუქცია - კოსტდამთავრებულთა მოწმობა ატესტატების, გადასაყვანი მოწმობებისა და ქების სიგელის დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების შესახებ 13
4. ბრძანება - ბორჯომის რაიონის — ყვიბისის, დვირის და კორტანეთის სკოლების გამორკვევის შედეგების შესახებ 18
5. ბრძანება—ჩხარის რაიგანათლების განყოფილების მუშაობის შესახებ 22
6. მიღების წესები სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში 1939 წლისათვის 26
7. მიღების წესები სსრ კავშირის პედაგოგიური ინსტიტუტის და უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე 1939 წლისათვის 29

БАКИНСКИЙ ФИЛИАЛ
Библиотека

განსახკომი
თბილისი—1939

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2077

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 8 მაისს

შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგად აღენიშნა:

მიუხედავად იმისა, რომ დადგენილება დროულად იქნა განხილული და განმარტებული აფხაზეთისა **და აჭარის** ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის განსახკომების, განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებათა და **სკოლების ხაზით;** მიუხედავად იმისა, რომ დამუშავდა და მიეცა ადგილებს ყველა საჭირო მითითებანი სამუშაოზე დროულად გამოცხადების, სამუშაოს უმიზეზოდ დატოვების აღრიცხვის, უმიზეზოდ გამცდენების სამუშაო ადგილიდან გადაყენების, განათლების ორგანოებსა და სკოლებში მუშაობის დაწესებულ ვადებში დაწყების, დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ შესაფერისი ზომების დროულად მიღებისა და სხვათა შესახებ, დღემდე, როგორც ეს შემოწმებამ დაადასტურა, ზოგან ადგილი აქვს მთელ რიგ დანაშაულებრივ ხასიათის ნაკლოვანებებს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს ისტორიული დადგენილებების გაგნუხრელად გატარების საქმისადმი არასაქმიანი და გულგრილი დამოკიდებულება უბრალველეს ყოვლისა გამოიხატა იმაში, რომ ზოგიერთ რაიონში ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაუშვლელობის და სკოლებზე სისტემატური ზედამხედველობის საქმის მოუგვარებლობის შედეგად დღემდე კვლავ აქვს ადგილი მასწავლებელთა ხშირ დაგვიანება-დაკლების არა ერთსა და ორ შემთხვევას და ამის შედეგად მოხსნისა და გადაჯგუფების შემთხვევებს (ბაშკირეთის, ზუკდიდის, ბორჯომის, ლიუქსემბურგის რაიონები).

დღემდე მოუგვარებელია თანამშრომელთა დასწრება-დაკლება-დაგვიანების აღრიცხვის საქმე ზოგი რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტების აპარატებისა და სკოლების ხაზით და ყველგან არ არის აღრიცხვისათვის გამოყოფილი სპეციალური პირები (ლაგოდეხის, ჩხარის, კასპის რაიონები).

მთელ რიგ სკოლებში ადგილი აქვს მეცადინეობის არა თავის დროზე დაწყებასა და დამთავრებას (ამბროლაურის რაიონის ს. მუხლის დაწყებითი სკოლა, ყარაიის რაიონის ს. გოფნუსტალის დაწყ. სკოლა, ყაზბეგის რაიონის სოფ. ფარყუჩისა და ახალცოხის დაწყებ. სკოლები, სტალინირის რაიონის ს. თამარაშენის დაწყ. სკოლა და სხვ.). ამგვარი დაუშვებელი მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით **ვბრძანებ:**

1. განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებებმა გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა, სისტემატური და კონკრეტული ზედამხედველობა დააწესონ სკოლებზე, განამტკიცონ სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობა და დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში დაუგვიანებლივ მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა.

2. აფხაზეთის და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის განსახკომებმა და განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებებმა ათი დღის ვადაში დაამუშავონ საკუთარი აპარატის შინაგანაწესები, გაითვალისწინონ მათში თითოეული მუშაკის უფლება-მოვალეობანი და ზუსტად განსაზღვრონ მუშაობის დაწყების, შესვენებისა და დამთავრების დრო და მტკიცე კონტროლი დაუწესონ შინაგანაწესის განუხრელად გატარებაზე

3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამუშაოზე გამოცხადების და სამუშაოდან წასვლის დაწესებულ ფორმებს. მიხედვით აღრიცხვის საქმეს. ამ მიზნით სახალხო განათლების ყველა იმ დაწესებულებებში, სადაც ეს დღემდე კიდევ არ არის გატარებული, გამოყოფილ იქნას სპეციალური პირები.

4. შემოღებულ იქნას განსახკომის სისტემაში შემავალ ყველა სახის დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში და პედსასწავლებლებში სკოლის შინაგანაწესი. .

5. დაწესდეს, რომ შინაგანაწესს ადგენს სკოლის დირექტორი (გამგე) პროფორგანიზაციებთან შეთანხმებით, ამტკიცებს შრომის იხსპექტორი და იგი სავალდებულოა სკოლის ყველა მუშაკისათვის.

6. შინაგანაწესის შედგენისა და სკოლებმა იხელმძღვანელონ ამ ბოძახებასთან დართულ „საქ. სსრ განსახკომის და საქ. დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრ. კომიტეტის მიერ დამტკიცებული „დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მუშაკთათვის ტიპიური შინაგანაწესით“, ამასთან გაითვალისწინონ ყველა ის ცვლილებანი და დამატებანი, რაც ადგილობრივ პირობებს შეესაბამება.

7. საქ. სსრ განსახკომისა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული „დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მუშაკთა ტიპიური შინაგანაწესის„ ფართოდ გაცნობის მიზნით ყველა სკოლამ მოაწყოს მისი ფართოდ განხილვა პედაგოგიური საბჭოების სპეციალურ სხდომებზე.

8. შინაგანაწესების შედგენა-დამტკიცება ყველა სკოლაში დამთავრდეს აწ 20 მაისამდე. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და საქ. სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის განათლების სახ. კომისარიატებმა და განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებებმა კონკრეტული დახმარება გაუწიონ სკოლებს ამ მხრივ და დროულად უზრუნველყონ შინაგანაწესების ხარისხიანად შედგენის საქმე.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

გ. კიკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
2022-11-01

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია სსსრ განსახკომის მიერ საქართველოს სრ დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ც/კომიტეტის პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

სსსრ განათლების სახალხო კომისარი **გ. კიკნაძე**

სსსრ დაწყებითი და საშ. სკოლ. მუშაკ. პროფკავშირის ც/კომიტეტის თავმჯდომარე **ალ. მურუსიძე**

1939 წ. 8 მაისი
ქ. თბილისი

ჯიპიური შინაგანაწესი

საქ. სსრ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მუშაკთათვის

I. ზოგადი დებულებანი

§ 1. მოცემული შინაგანაწესის მიზანია თითოეულ სკოლაში დაამყაროს მტკიცე შრომის რეჟიმი, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს:

ა) შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ფორმების და მეთოდების განვითარება და სკოლის კოლექტივის მთლიანად და თითოეული მისი წევრის შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება.

ბ) თითოეულ სკოლაში მუშაობის ნორმალური მიმდინარეობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაში საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევის მიზნით.

ვ) შრომის დისციპლინის განმტკიცება და სკოლის თითოეული მუშაკის ძოვალეობის ზუსტად განსაზღვრა.

გ) სკოლის მუშაკებისათვის შრომის საუკეთესო და ჯანსაღი პირობების შეჰქმნა.

§ 2. ეს განაწესი ტიპიურია საქ. სსრ განსახკომისადმი და მისი ადგილობრივი ორგანოებისადმი ქვემდებარე დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის.

§ 3. მოცემულ წესების განსავითარებლად და დასამტკიცებლად, სკოლის დირექტორები და გამგეები შრომის კანონთა კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად ამ წესების საფუძველზე დაამუშავებენ შინაგანაწესს თავისი სკოლებისათვის, სკოლის მუშაობის პირობების მიხედვით (ქალაქის, სოფლის, მრავალკომპლექტანი, ერთკომპლექტიანი სკოლა, ერთცვლიანი და ორცვლიანი სკოლა).

სკოლის შინაგანაწესს სკოლის დირექტორი უთანხმებს ადგილობრივ პროფორგანიზაციას და მას ამტკიცებს საქ. დაწყ. და საშ. სკოლის მუშაკთა კავშირის რაიკომის შრომის უფროსი საზოგადოებრივი ინსპექტორი.

§ 4. შინაგანაწესი, ხელმოწერილი სკოლის დირექტორის (გამგის) და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარის და დამტკიცებული შრომის ინსპექტორის მიერ, გამოიკრება თითოეულ სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე.

§ 5. შინაგანაწესი სავალდებულოა სკოლის ყველა მუშაკათვის.

§ 6. შინაგანაწესის დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოიწვევს სათანადო სასჯელს, აღნიშნულს მოცემული ტიპიური განაწესის 36-ე კარში.

§ 7. სკოლის არც ერთ მუშაკს არ შეუძ-

ლია თავი იმართლოს შინაგანაწესის არ-ცოდნით.

§ 8. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია სკოლაში დადგენილი შინაგანაწესი გააცნოს სამუშაოზე ახლად მოსულ თითოეულ მასწავლებელს და სკოლის ადმინისტრატიულ—ტექნიკურ მუშაკს.

II. სკოლის მუშაკთა სამუშაოზე მიღების და დათხოვნის წესი

§ 9. სკოლის ადმინისტრატიულ—სასწავლო პერსონალის, მასწავლებლების და სკოლის ექიმის დანიშვნა-დათხოვნა წესრიგდება მომქმედი კანონმდებლობით.

§ 10. სკოლის ბიბლიოთეკარი, მნე და ტექნიკური პერსონალი—(საქმის მწარმოებელი, დამლაგებელი, მეეზოვე, ცეცხლფარეში და სხვა) ინიშნება და იხსნება დირექტორის (გამგის) მიერ.

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლის მოანგარიშე (ბუხჰალტერი) ინიშნება და იხსნება განსახკომის მიერ, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სკოლის მოანგარიშე (ბუხჰალტერი)—განათლების განყოფილების მიერ.

§ 11. სკოლის დირექტორს (გამგეს) სამუშაოზე ახალი პირების მიღება შეუძლია მხოლოდ მათ მიერ შრომის წიგნაკის და პასპორტის წარდგენის შემდეგ, ხოლო იმ ადგილებში, სადაც პასპორტი არ არის შემოღებული,—სახლის მმართველობის ან სოფლის საბჭოს მიერ გაცემული ცნობის მიხედვით.

ის პირები, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას, ვალდებულნი არიან, შრომის წიგნაკის ნაცვლად, წარადგინონ ცნობა, გაცემული სახლის მმართველობის, ან სოფლის საბჭოს მიერ, მათი უკანასკნელი საქმიანობის შესახებ. ის პირები, რომელთაც დამთავრეს უნივერსიტეტები, პედაგოგიური, სამასწავლებლო ინსტიტუტები და პედაგოგიური სასწავლებლები და იგზავნებიან სკოლაში სამუშაოდ, ვალდებულნი არიან წარადგინონ სამიელნებო მოწმობები (საგზურები).

§ 12. იმ პირებზე, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას, შრომის წიგნაკები შეტანილ უნდა იქნენ მათი სამუშაოზე მიღებ-დან არა უგვიანეს 5 დღისა.

იმ პირებზე, რომლებიც სკოლაში შეთავსებით მუშაობენ, შრომის წიგნაკები შეიტანება მხოლოდ მათი ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით. სკოლების ადმინისტრატიულ პერსონალის და მასწავლებელთა შრომის წიგნაკები ინახება განგ. განყოფილებაში, ხოლო დანარჩენი მუშაკების სკოლის ადმინისტრაციასთან ცეცხლგამძლე შკაფში ან ყუთში. მომუშავის სამსახურიდან დათხოვნისას, ან სხვა სამუშაოზე გადასვლისას, წიგნაკი მიეცემა მათ ხელზე.

§ 13. თითოეულ მუშაკზე (გარდა სკოლის ადმინისტრატიულ-პედაგოგიურ პერსონალისა) მისი მუშაობის დაწყების მომენტიდან სკოლაში სდგება პირადი საქმე. მასწავლებლისა და სკოლის ადმინისტრატიულ პერსონალის პირადი საქმე კი სდგება განათლების განყოფილებაში. პირადი საქმე ადმინისტრატიულ-პედაგოგიურ პერსონალის უნდა შეიცავდეს სანატორო-კონტორის მიერ დამოწმებულ განათლების დამადასტურებელ საბუთების ასლებს. მოცემულ სკოლაში დანიშვნის შესახებ განსახკომის ბრძანებას, ოქმის ამონაწერს მათთვის პერსონალური წოდების მინიჭების შესახებ, ავტობიოგრაფიას და საარჩიცხეო ბარათს.

§ 14. მუშაკები, რომლებიც სკოლიდან თავის ნებით მიდიან, ვალდებული არიან ამის შესახებ გააფრთხილონ სკოლის დირექტორი (გამგე) ერთი თვით ადრე.

§ 15. სკოლის მუშაკის (ადმინისტრატიულ-პედაგოგიურ პერსონალის და მოანგარიშის-ბუხჰალტრის გამოკლებით) სამუშაოზე მიღება ან მისი სამუშაოდან განთავისუფლება ფორმდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ მის გაკარგულებათა წიგნში და შრომის წიგნაკში შეტანის და პასპორტში აღნიშვნის გზით.

მასწავლებლის მიღება და დათხოვნა სწარმოებს იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1936 წლის 10 აპრილის დადგენილებით.

§ 16. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ადგილობრივ (სოფლის) კომიტეტს აცნობოს სკოლის მუშაკთა მიღებისა და დათხოვნის შესახებ არა უგვიანეს სამი დღისა—მათი მიღებისა და დათხოვნის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. შრომის განაწესი და მომუშავეთა მოვალეობანი

§ 17. მეცადინეობა სკოლაში იწყება . . . საათზე და მთავრდება. . . . . საათზე.

ორცვლიანი მეცადინეობის დროს ცვლებს შორის დადგენილია სავალდებულო შესვენება არა ნაკლებ ერთი საათისა.

§ 18. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია უზრუნველჰყოს სკოლის ყველა ძუშაკთა სამუშაოზე გამოცხადების და წასვლის ზუსტი რეგისტრაცია.

არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში მომუშავეთა სამუშაოზე გამოცხადების და აგრეთვე წასვლის რეგისტრაციას აწარმოებს სკოლის საქმის მწარმოებელი განსაკუთრებულ ჟურნალში, რომელიც ინახება სკოლის კანცელარიაში. ჟურნალი ყოველდღიურ განსაზღვრულ საათებში საქმის ძწარმოებლის მიერ წარედგინება პირადად სკოლის დირექტორს.

დაწყებით სკოლაში მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა სამუშაოზე გამოცხადების და წასვლის აღრიცხვა სწარმოებს სკოლის გამგის მიერ სარეგისტრაციო რვეულში.

§ 19. სკოლის თითოეულ მუშაკს სამუშაო საათებში სამუშაოდან წასვლა შეუძლია სამსახურის საქმეების, ავადმყოფობისა ან სხვა საპატიო მიზეზის გამო მხოლოდ სკოლის დირექტორის (გამგის) ნებართვით.

§ 20. თითოეულ მასწავლებლისათვის ყოველდღიურად სავალდებულო სასწავლო საათების რაოდენობა განისაზღვრება სკოლის სასწავლო გეგმით სამუშაო დროის არსებული ნორმების ფარგლებში და გაფორმდება გაკვეთილების მტკიცე ცხრილის სახით.

სამუშაო დღის ხანგრძლივობა როგორც ექვსდღიან სამუშაო კვირაში, ისე შვიდდღიან კვირაში დადგენილია: გონებრივ მომუშავე მუშაკებისათვის (ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, მოანგარიშე და სხვ.) 6½ საათი დღეში სადილსათვის ½ საათის დასვენების ჩათვლით; ფიზიკური შრომის მომუშავეთათვის და უმცროსი მომსახურეპერსონალისათვის (დამლაგებელი, შიკრიკი, დარაჯი და სხვ.) 8-საათი დღეში, დასვენების ჩაუთვლელად.

კანცელარიის ტექნიკური და სამეურნეო ხაზით მომუშავეთათვის მუშაობის გრაფიკი მუშავდება სკოლის [illegible] ადგილობრივ (სოფლის) [illegible] ციის მიერ ადგილკომთან (სოფლკომთან) შეთანხმებით და გაიკრება თვალსაჩინო ადგილზე.

შენიშვნა: სამუშაო დღის ხანგრძლივობა ფიზიკური შრომის მომუშავეთათვის და უმცროსი მომსახურე პერსონალისათვის შვიდდღიან სამუშაო კვირაში ყოველკვირეული დასვენების და რევოლუციური დღესასწაულების წინდღეებ[illegible] არ უნდა აღემატებოდეს ექვს საათს.

§ 21. მასწავლებლის დამატებითი დატვირთვა, გარდა მორიგეობისა დასვენების დროს და სასკოლო ორგანიზაციებში მუშაობისა, რაც გათვალისწინებულია ამ ტიპიური განაწესის მე-23-§-ში, არ შეიძლება ტარდებოდეს მასწავლებლისათვის კანონით დადგენილ სასწავლო სამუშაო დღის გაგრძელების ხარჯზე.

მოწვევა სკოლის მუშაკების გაკვეთილების დაწყებამდე სკოლაში გაკვეთილებისათვის სასწავლო მასალის მოსამზადებლად და მორიგეობისათვის და მოსწავლეთა სკოლაში გამოცხადებაზე მეთვალყურეობისათვის შესაძლებელია მხოლოდ სკოლის მუშაკთა საერთო კრების დადგენილებით და არა სკოლის ადმინისტრაციის განკარგულებით.

საერთო კრების დადგენილებათა დარღვევის შემთხვევაში პროფკავშირის ადგილობრივი (სოფლის) კომიტეტები დადგენილების დამრღვევთა მიმართ გამოიყენებენ საზოგადოებრივი ზემოქმედების სათანადო ზომებს.

შენიშვნა: I—IV კლასების და აგრეთვე უფროსი კლასების მასწავლებლები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს არიან კლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის ფასიანი ხელმძღვანელები, ვალდებულნი არიან თავის სამუშაო დღეებში სკოლაში გასწიონ მორიგეობა სკოლის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი საათებში თავისი საწარმოო სამუშაოს შესრულების წესით.

§ 22. ყოველკვირეული დასვენების დღით სარგებლობის დრო და წესი იმ მუშაკთათვის, რომელთა მუშაობა აუცილებელია არასამუშაო დღეებშიც (ცეცხლფარეში, დარაჯი, მეეზოვე) წესდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ შედგენილი და შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის მიერ დამტკიცებული საათანადო გრაფიკით. გამოუყენებელ დასვენების დღეების ნაცვლად მათ აუცილებლად მიეცემათ დასასვენებლად სხვა დღეები.

§ 23. მასწავლებლის მონაწილეობა სკოლის მიერ მოწვეულ სხვადასხვა კრებებზე და თათბირებზე წესდება სკოლის შინაგანაწესით.

აღნიშნული კრებები და თათბირები ტარდება მტკიცე კალენდარული გეგმის მიხედვით. სასკოლო ორგანიზაციები კრებები და თათბირები არ შეიძლება ტარდებოდეს გაკვეთილების ხარჯზე.

შენიშვნა: სკოლის პედსაბჭოს სხდომა მოიწვევა არანაკლებ ორისა სასწავლო მეოთხედის განმავლობაში, სასკოლო მშობელთა კრება არა ნაკლებ ერთისა სასწავლო მეოთხედში, საკლასო მშობელთა კრება—ერთხელ თვეში, საკლასო და მეთოდური საგნობრივი კომისიები სკოლაში და მასწავლებელთა ჯგუფური მეთოდური გაერთიანებანი ერთხელ თვეში.

§ 24. მეცადინეობა სკოლაში არ სწარმოებს დასვენების დღეებში, არდადგების დროს, დაწესებულ არასამუშაო დღეებში (დღესასწაულებში) და დასვენებების განსაკუთრებულ დღეებში (შვიდდღიან სამუშაო კვირაში მომუშავეთათვის).

§ 25. ადმინისტრაციის მიერ დაკისრება მუშაკებზე რაიმე სამსახურებრივი დავალების სამუშაოდან თავისუფალ დროს, აგრეთვე დასვენების დღეებში, დღესასწაულებზე და დასვენების განსაკუთრებულ დღეებში, გარდა ამ წესდებაში აღნიშნულ სამუშაოსა,—დაუშვებელია.

შენიშვნა: 1. საზამთრო, საგაზაფხულო და საზაფხულო არდადგების დროს (შვებულების დაწყებამდე და შვებულების დამთავრების შემდეგ) შეიძლება მასწავლებელი მოწვეულ იქნას სამუშაოდ სკოლაში მათი სასწავლო დატვირთვის შესაბამისად.

შენიშვნა: 2. დაუსწრებლად და ექსტერნად მოსწავლე-მასწავლებელთათვის დადგენილია დეკადაში 4 საღამო (გარდა დასვენების დღეებისა), აბსოლუტურად თავისუფალი ყოველგვარი არასასწავლო დატვირთვისაგან სკოლაში და სკოლის გარეთ.

§ 26. სასწავლო დღის განმავლობაში პედაგოგებს ეძლევათ ათწუთიანი დასვენება პირველი, მესამე, მეოთხე და რეხუთე გაკვეთილის შემდეგ, ხოლო მეორე გაკვეთილის შემდეგ—30 წუთიანი შესვენება.

დანარჩენ მუშაკებისათვის დადგენილია 30 წუთიანი დასვენება სადილისათვის . . . . დან. . . . დე.

ძუძუმწოვარი ბავშვების პატრონ—დედებისათვის, თანახმად შრომის კანონის კოდექსის 134 მუხლისა, დადგენილია დამატებითი დასვენება სამუშაო დროის ხარჯზე, ამ დასვენებების ანაზღაურებით ამ მუშაკის ხელფასის მიხედვით.

შენიშვნა: დასვენების ხანგრძლივობა მეორე და მესამე გაკვეთილის შემდეგ შეიძლება დადგენილ იქნას 20-20 წუთით.

§ 27. დასვენების დროს მოსწავლეებს მომსახურეობას უწევენ მორიგე მასწავლებლები. მორიგეების რაოდენობა და მორიგეობის წესი ყოველი დღისთვის წესდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ აღგილკომთან შეთანხმებით.

§ 28. სკოლის დირექტორს (გამგეს) ეკისრება ერთპიროვნული სრული პასუხისმგებლობა სკოლაში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენებისათვის, სასწავლო რეჟიმისა და განაწესის დაცვისათვის, აგრეთვე მთელი მეურნეობის მდგომარეობისა და საქმის წარმოებისათვის. სკო-

ლის დირექტორს (გამგეს) ემორჩილება ამ სკოლაში ყველა მომუშავე პირი.

§ 29. სასწავლო ნაწილის გამგე სკოლის დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის, თითოეული მასწავლებლის მიერ საქ. სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებულ სასწავლო გეგმის და პროგრამის შესრულებისათვის.

სასწავლო ნაწილის გამგე სკოლის დირექტორის არყოფნის დროს ასრულებს მის მოვალეობას.

§ 30. მასწავლებელი პასუხისმგებელია სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლის დირექტორის (გამგის) წინაშე მოსწავლეთა (კოდნის ხარისხისა, სასწავლო გეგმის და სასწავლო პროგრამების შესრულებისა, მოსწავლეთა წარმატებისა და კლასიდან კლასში გადაყვანისათვის და მოსწავლეთა სწორად აღზრდისა და დისციპლინისათვის.

მასწავლებლები ვალდებულნი არიან იქონიონ მუშაობის გეგმა და გულმოდგინედ ემზადონ თვითოეული გაკვეთილისა და მეცადინეობისათვის.

§ 31. კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია ყოველდღიური მეთვალყურეობა გაუწიოს მოსწავლეთა სწავლებას და ყოფაქცევას, გაატაროს მოსწავლეთათვის სკოლის გარეშე ღონისძიებები და მოაწყოს საკლასო კრებები.

§ 32. სკოლის ბიბლიოთეკარი ვალდებულია სისტემატურად ავსებდეს ბიბლიოთეკას მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის და უზრუნველჰყოს წიგნის ფონდის სრული დაცვა; უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკის ეგულარულად მუშაობა, აწარმოოს წიგნების აღრიცხვა ბიბლიოთეკაში, დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს საკითხავ წიგნების შერჩევაში, ასწავლოს მათ ბიბლიოთეკით სარგებლობა; წარმართოს მოსწავლეთა კითვის საქმე და მასწავლებელთან ერთად აწარმოოს მუშაობა ბავშვებთან წაკითხული წიგნების გარშემო.

სკოლის ბიბლიოთეკარი თავის მუშაობისათვის პასუხს აგებს სკოლის დირექტორის (გამგის) და სასწავლო ნაწილის გამგის წინაშე.

§ 33. მასწავლებლები, რომლებიც კაბინეტების გამგის მოვალეობას ასრულებენ, ვალდებული არიან აწარმოონ კაბინეტში სასწავლო ნივთების, ხელსაწყოების აღრიცხვა, მიიღონ ზომები კაბინეტის აუცილებელი მოწყობილობით შევსებისათვის და პასუხისმგებელნი არიან კაბინეტის სასწავლო ნივთების, ხელსაწყოების დაცვის საქმეში.

§ 34. პიონერმუშაკები, რომლებიც სკოლის კედლებში და სკოლის გარეთ ატარებენ ბავშვებთან მუშაობას, ემორჩილებიან სკოლის შინაგანაწესს.

§ 35. სკოლის მნეები პასუხისმგებელნი არიან სკოლის დირექტორის (გამგის) წინაშე სკოლის შენობისა და სასკოლო ქონების დაცვისათვის, მთელ სასკოლო შენობაში სამაგალითო სისუფთავისა და წესიერებისათვის. სკოლის წყლით და საწვავი მასალით უზრუნველყოფისა. სკოლის შენობის სასწავლო წლის დასაწყისისათვის დროულად მომზადებისა,—დამლაგებლების მუშაობის სწორი ორგანიზაციისა, ცხელი საუზმების სწორად მოწყობისათვის და სხვა.

სკოლის მნე, სკოლის დირექტორის (გამგის) თანხმობით, აწარმოებს სკოლის თანხების ხარჯვას სამეურნეო საჭიროებისათვის და ამის შესახებ ანგარიშს აბარებს სკოლის დირექტორს (გამგეს).

სასკოლო ინტერნატების არსებობისას მნე უწევს მეთვალყურეობას მათ და უზრუნველჰყოფს მათ კულტურულ შენახვას და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას.

§ 36. სკოლის საქმისმწარმოებელი—შოანგარიშე ვალდებულია აწარმოოს საქმეები, ფულადი, მატერიალური და სტატისტიკური ანგარიშგება. სკოლის მიმდინარე მიწერ-მოწერა და მოსწავლეთა აღრიცხვა. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის (გამგის) წინაშე ფულადი დოკუმენტების, მოსწავლეთა დოკუმენტების, საინვენტარო წიგნების და სკოლის არქივის დაცვისათვის.

შენიშვნა: სკოლებში, სადაც ცალკე

საანგარიშო დარგში მომუშავე (ბუხჰალტერი ან მოანგარიშე) არის, აღნიშნული ვალდებულებანი დირექტორის მიერ ეპწყდება საქმისმწარმოებელსა და მოანგარიშეს შორის.

§ 37. დამლაგებლები ვალდებულნი არიან ყოველდღიურად დაალაგონ სასკოლო შენობის მათთვის განკუთვნილი ფართობი, ექვსდღიურში ერთხელ გარეცხონ სკოლის იატაკები, განსაკუთრებით ადევნონ თვალყური სკოლის საპირფარეშოების სისუფთავეს; დაიცვან მოსწავლეთა ტანსაცმელი, უზრუნველჰყონ საკლასო ოთახების გაკვეთილებისათვის მომზადება (სამელნეებით, ცარცით, ჩვრითა და სხვ.), გაკვეთილის დაწყების და დამთავრების შესახებ ცნობის მისაცემად დროულად დარეკონ ზარი, უზრუნველჰყონ მოსწავლენი და მასწავლებლები ნადუღი სასმელი წყლით, დასაბანი წყლით, სუფთად იქონონ პირსახოცები, შვასრულონ (სამუშაო დროს) სკოლის საქმეებზე შეკრიკის მოვალეობა, თვალყური ადევნონ სკოლის ქონების დაცვას.

რემონტის შემდეგ სკოლის დალაგება—დასუფთავებისათვის დამლაგებლებს მიეცემათ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ცალკე გასამრჯელო.

შენიშვნა: 1. თუ სკოლაში არის ცალკე ტანსაცმელის შემნახველი, მოსწავლეთა ტანსაცმელის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება მას.

2. იატაკების სანთლით ან სხვა მასალით გაწმენდა არ შედის დამლაგებლის მოვალეობაში.

3. არდადეგების პერიოდში დამლაგებლებს სკოლის დირექტორები (გამგეები) ამუშავებენ ნორმალური სამუშაო დღის განმავლობაში.

§ 38. ცეცხლფარეშები ვალდებულნი არიან თავის დროზე და ნორმალურად გაათბონ სკოლის შენობა, მომჭირნეობით ხარჯონ საწვავი მასალა და აწარმოონ მისი ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა, თვალყური ადევნონ გათბობის სისტემის დაცვას, დროულად დასვან საკითხი სკოლის დირექტორის (გამგის) ან სკოლის მნეს წინაშე ღუმელების გაწმენდისა, მათი რემონტისა და საწვავი მასალის მოტანის შესახებ და გაფრთხილონ მოსწავლეები ღუმელებზე ხანძრის შესახებ ღუმელების, ბუხრების და სხვათა მოუწესრიგებლობის გამო.

შეშის დახერხვა და დაჭრა ცეცხლფარეშების მოვალეობაში არ შედის; ასეთი სამუშაოს შესრულებისათვის, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მას ეძლევა დამატებითი გასამრჯელო.

§ 39. მეეზოვეები ვალდებულნი არიან დაიცვან ეზოს და ფილაქნის (ტროტუარის) სისუფთავე, თვალყური ადევნონ სახურავების, ორმოების და ნაგვის ყუთების დროულად დასუფთავებას, დაიცვან ეზოს სამეურნეო ინვენტარი. აწარმოონ სკოლის ეზოში მდებარე საპირფარეშოების დეზინფექცია.

§ 40. ღამის დარაჯები მოვალე არიან დაიცვან სკოლის საწყობები და სადგომი გამძარცვისაგან და მიიღონ გამაფრთხილებელი ზომები ხანძრის წინააღმდეგ.—ღამის დროდ ითვლება დრო საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე (შრომის კან. კოდექს. მუხ. 96).

§ 41. სკოლის ყოველი მუშაკი ვალდებულია დაიცვას სკოლაში დაწესებული სასწავლო რეჟიმი და სანიტარულ-ჰიგიენური წესები.

კატეგორიულად აკრძალულია:

1. სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ დამტკიცებული გაკვეთილების ცხრილის თავის შეხედულებისამებრ შეცვლა.

2. გაკვეთილების და დასვენების ხანგრძლივობის გაჯანურება.

3. აღრიცხვისა და ანგარიშგების დადგენილი ფორმების შეცვლა.

4. საკლასო ჟურნალში, მოსწავლეთა დღიურებში და მოსწავლეთა რვეულებში ულაზათოდ და უსუფთოდ წერა.

5. გაკვეთილების დროს კერძო პირების მიღება და მათთან საუბარი.

6. გაკვეთილის დროს გარეშე საქმის გაკეთება (გაზეთის და წიგნის კითხვა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის დროს).

7. თამბაქოს მოწევა სკოლის შენობაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისათვის სპეციალურად განკუთვნილი ადგილისა.

8. მოსწავლეებთან მეცადინეობის ჩატარება კლასებში და სკოლის სხვა შენობაში ზედა ტანსაცმელში (პალტოში).

§ 42. სკოლის ყველა მუშაკი ვალდებულია გაფფრთხილდეს სკოლის ქონებას და დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს (გამგეს) მისი გატეხის, გაფუჭების ან დაკარგვის შესახებ.

სასკოლო ქონებისადმი უყურადღებო და დაუდევარი დამოკიდებულებისათვის დამნაშავე პირი პასუხს აგებს სახელმწიფო ქონების დაცვის შესახებ არსებული კანონის მიხედვით.

ადმინისტრაცია ვალდებულია შეჰქმნას ნორმალური პირობები ტანსაცმელის გასახდელში ტანისამოსის დაცვისათვის.

§ 43. ადმინისტრაციის ყველა კანონიერი მოთხოვნები და განკარგულებანი სავალდებულოა ყველა მუშაკისათვის და მათი წესიერად და დროულად შესრულება აუცილებელია.

§ 44. მომუშავეთა ურთიერთ-სამსახურებრივი და მოსწავლეებთან დამოკიდებულება უნდა ატარებდეს საქმიან ხასიათს.

§ 45. სკოლის ადმინისტრაციის მიერ სკოლის მუშაკების გამოყენება პირადი მომსახურებისა და დავალებებისათვის, ან ისეთი სამუშაოსათვის, რომელიც არ შედგენს მათ პირდაპირ მოვალეობას, დაუშვებელია.

§ 46. არავის არა აქვს უფლება მასწავლებელს გაკვეთილის მსვლელობის დროს გაუკეთოს შენიშვნა მუშაობის შესახებ, დაურღვიოს გეგმა და შეუცვალოს მუშაობის მიმდინარეობა.

გაკვეთილის დროს კლასში შესვლა დირექტორის (გამგის) ნებართვის გარეშე—აკრძალულია.

კერძო მომსვლელები გაკვეთილზე დაიშვებიან მხოლოდ სკოლის დირექტორის (გამგის) ნებართვით.

§ 47. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია დაიცვას მუშაკთა შრომის დაცვის შესახებ დადგენილი წესები: შენობაში, რომელშიაც მუშაობა სწარმოებს, დაიცვას სიუფთავე და უზრუნველყოს იგი ნორმალური ტემპერატურით არა ნაკლებ [illegible] და ვენტილაციით, მასწავლებელთა დასასვენებლად გამოჰყოს სპეციალური ოთახი—სამასწავლებლო სათანადო მოწყობილობით, იზრუნოს, რომ სამასწავლებლოში მუდამ იყოს გრაფინი ნადუღი სასმელი წყლით, პირისსაბანი, საპონი და პირსახოცი; უზრუნველჰყოს საპირფარეშოების სათანადოდ მოვლა-გასუფთავება.

§ 48. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია სკოლის მასწავლებლები უზრუნველჰყოს აუცილებელი სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით, გაზეთებით და მეთოდური ლიტერატურით. ხოლო დამლაგებლები შენობის დალაგებისათვის აუცილებელი მოწყობილობით და სპეცტანსაცმელით.

§ 49. სკოლის დირექტორი (გამგე) და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი ვალდებულნი არიან გულისხმიერად მოეპყრან მუშაკების ყოველდღიურ საჭიროებას, მიიღონ ზომები მათი ბინით უზრუნველყოფისათვის, იზრუნონ მათ დასვენებასა, მკურნალობაზე და სხვა. ზუსტად აღრიცხონ თვითოეულის მუშაობა, დაეხმარონ მუშაობაში გამოუცდელ მუშაკებს.

§ 50. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია:

ა) პროფორგანიზაციასთან ერთად აქტიურად უხელმძღვანელოს სოციალისტურ შეჯიბრებას.

ბ) ყოველნაირად წაახალისოს სკოლის საუკეთესო მუშაკები და უზრუნველჰყოს მათი გამოცდილების გავრცელება.

§ 51 სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია მუშაობის დროს ავად გამხდარი თანამშრომელი სკოლის ხარჯზე გადაიყვანოს მახლობელ სამკურნალო დაწესებულებაში.

§ 52 სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს საწარმოო თათბირებს, სამი დღის ვადაში განიხილოს მასწავლებლებისა და სხვა მუშაკებისაგან შემოსული წინადადებები, მიმართული სკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად. მასწავ-

ლებელთა წინადადებების ჩასაწერად შემოღებულ უნდა იქნას ცალკე წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. ხელფასის გაცემა

§ 53. ხელფასის გაცემა ხდება შემდეგ ვადებში:

ა) ქალაქის მასწავლებლებზე 1-ლი და 16 რიცხვებში.

ბ) სოფლის მასწავლებლებზე (ერთხელ თვეში) 20 რიცხვში.

გ) სამეურნეო და მომსახურე პერსონალზე. . . . . .

ხელფასის გაცემა ხდება არა სამუშაო დროს. ადმინისტრაცია ვალდებულია ხელფასის გაცემა უზრუნველჰყოს უშუალოდ სკოლაში მუშაობის დაწყებამდე, ან დამთავრების შემდეგ.

V. შვებულებები

§ 54. სკოლის დირექტორებს (გამგეებს), სასწავლო ნაწილის გამგეებს, მასწავლებლებს და პიონერ მუშაკებს ეძლევათ ყოველწლიურად შვებულება—48 სამუშაო დღით. ბიბლიოთეკარებს—24 სამუშაო დღით. ნორმალური სამუშაო დღით მუშაკებად ითვლებიან (ჩამოითვალოს თანამდებობა). . .

აღნიშნულ მუშაკებს მიეცემა შვებულება . . . . სამუშაო დღის ხანგრძლივობით; დანარჩენ მუშაკებს ეძლევა შვებულება 12 სამუშაო დღის ხანგრძლივობით.

§ 55. შვებულების ცხრილი დგება სკოლის ადმინისტრაციის მიერ, მტკიცდება საკონფლიქტო კომისიის მიერ და წინასწარ ეცნობება სკოლის მუშაკებს.

VI. სასჯელის დადება სკოლის შინაგანაწესის დარღვევისათვის

§ 56. შრომის დისციპლინის დაცვა და მის დამრღვევეთა წინააღმდეგ ზომების მიღებისათვის პერსონალურად პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს (გამგეს), რომელსაც უფლება აქვს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დაადოს დადგენილი სასჯელი.

§ 57. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მუშაკებს დაედება შემდეგი სასჯელი:

1. შენიშვნა;
2. საყვედური;
3. საყვედური გაფრთხილებით დათხოვნის შესახებ.
4. გადაყვანა სხვა, უფრო მცირე ხელფასიან სამუშაოზე 3 თვის ვადით, ან ჩამოქვეითება უფრო დაბალ თანამდებობაზე.
5. დათხოვნა.

შენიშვნა: მასწავლებელთა გადაყვანა და დათხოვნა სსრკ შრომიან სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1936 წლის 10 აპრილის დადგენილებით და საქ. სსრ განსახკომის და საქ. დაწყ. და საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტ. კ-ის აწ. 5/IV-ის საინსტრუქციო წერილში გათვალისწინებულ წესის დაცვით.

§ 58. „სამუშაოზე დაგვიანება, სადილად ნაადრევად წასვლა, ნასადილევს დაგვიანებით მოსვლა, საწარმოოდან ნაადრევად წასვლა, აგრეთვე სამუშაო დროს უსაქმობა—ყოველივე ეს წარმოადგენს შრომის დისციპლინის უაღრესად უხეშ დარღვევას, კანონის დარღვევას, რომელიც იწვევს ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძალიერებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ძირის გამოთხრას“—(1-ლი მუხლი სსრკ სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საკ. პროფსაბჭოს 1938 წლის 28 დეკემბერის დადგენილებისა).

§ 59. მუშაკს, რომელმაც დაუშვა სამუშაოზე დაგვიანება საპატიო მიზეზის უქონლად, რაც 20 წუთს არ აღემატება, ან ნაადრევად წავიდა სადილად, ან ნასადილევს დაგვიანება მოსვლა, ან ნაადრევად წავიდა სკოლიდან, ან რომელიც უსაქმურობდა სამუშაო დროს, ადმინისტრაციის მიერ დაედება სასჯელი.

§ 60. მუშაკი, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში დაუშვა სამი ასეთი დარღვევა, ან ოთხი დარღვევა ორი თვის განმავლობაში ზედიზედ (§ 59), ან რომელმაც დაუშვა საპატიო მიზეზის უქონლად დაგვიანება 20 წუთზე მეტით, დათხოვნილ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ.

თუ გაცდენისათვის მოსახსნელია მასწავლებელი ან სასწავლო ნაწილის გამგე, სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია დამნაშავე გადააყენოს სამუშაოდან და იმ დღეს-

ვე წარუდგინოს გადაყენებული პირი (საჭირო შემთხვევაში კი დეპეშით) ზემდგომ ორგანოებს (განს. განყ. და განსახკომს) დასათაოვნად.

თუ გაცდენისათვის მოსახსნელია დაწყებითი სკოლის გამგე ან არასრული საშუალო სკოლის ან საშუალო სკოლის დირექტორი, განათლების განყოფილება გადააყენებს რა სამუშაოდან დამნაშავეს, ვალდებულია გადაყენებული პირი წარუდგინოს იმავე დღესვე დასათხოვნად: ავტონ. რესპუბლიკებსა და ოლქში შესაბამ განსახკომებს, ხოლო საქართველოს სხვა რაიონებში საქ. სსრ განსახკომს.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც გაცდენისათვის მოსახსნელია ავტ. სსრ რესპუბლიკებში ან ავტ. ოლქში მე-8—10 კლასების მასწავლებელი ან საშუალო სკოლის დირექტორი ასსრ ან ავტონ. ოლქის განსახკომებმა ეს დათხოვნა იმავე დღეს დეპეშით უნდა წარუდგინონ, ქვემდებარეობისამებრ, საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარს დასამტკიცებლად.

გაცდენისათვის მოხსნის განკარგულების გასაჩივრება ვერ შეაჩერებს სამუშაოდან გადაყენების განკარგულების სისრულეში მოყვანას.

§ 61. სასჯელის დადება შეიტანება განკარგულებათა წიგნში და აუცილებლად ხელწერილის ქვეშ დადებული სასჯელის შესახებ ეცნობება მუშაკს.

შენიშვნა: სასჯელის დადება დაუსწრებლად, მუშაკის პირადი ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე დაუშვებელია.

§ 62. დირექტორის მიერ დადებული სასჯელი შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მომუშავის მიერ ადმინისტრატიული წესით ან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში—სახალხო სასამართლოში.

§ 63. გაცდენისათვის, შინაგანაწესის დარღვევისათვის ,ან სხვა მიზეზის გამო მომუშავის დათხოვნის შემთხვევაში, დათხოვნის ნამდვილი მიზეზი აუცილებლად შეიტანება მუშაკის შრომის წიგნაკში, რაც ფორმულირებულ უნდა იქნას ზუსტად შრომის კანონთა კოდექსის ფორმულირების შეაბამისად ან დათხოვნის საფუძვლად უნდა იქნეს დასახელებული—შრომის კანონთა კოდექსის სათანადო მუხლი და პუნქტი.

§ 64. შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, აგრეთვე სამუშაოს გამცდენთა, ფრენიათა და დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის დამნაშავენი-სკოლის დირექტორები (გამგეები) სათანადო განათლების განყოფილებათა და პროფკავშირის ორგანოების მიერ პასუხისგებაში მიეცემიან სამსახურიდან მოხსნამდე და სასამართლოზე გადაცემამდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია

კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატების, გადასაყვანი მოწმობებისა და ქების სიგელის დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების შესახებ

სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1935 წლის 3 სექტემბრის დადგენილებისა და კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატების ბეჭდვის, შენახვის გაცემისა და ანგარიშგების წესის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 27 ივლისის დადგენილების განსახორციელებლად შემოღებულია შემდეგი სავალდებულო წესები:

§ I. 1938/39 სასწავლო წლიდან საქ. სსრ განსახკომის სისტემაში შემავალ სკოლებისათვის დაწესებულია შემდეგი სახის მოწმობები, ატესტატები და ქების სიგელები:

1. დაწყებითი სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა,

2. არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პირველი ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა.

3. არასრული საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

4. საშუალო სკოლის პირველი შვიდი კლასის დამთავრების მოწმობა.

5. საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი—(ჩვეულებრივი).

6. საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი (საფრიადოსნო).

7. პედსასწავლებლის სასკოლო განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

8. პედსასწავლებლის სასკოლო განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი (საფრიადოსნო).

9. პედსასწავლებლის სკოლამდელი განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

10. პედსასწავლებლის სკოლამდელი განყოფილების კურსის დამთავრების ატესტატი (საფრიადოსნო).

11. არასრული საშუალო სკოლის კურსის ექსტერნად დამთავრების მოწმობა.

12. საშუალო სკოლის კურსის ექსტერნად დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

13. საშუალო სკოლის კურსის ექსტერნად დამთავრების ატესტატი (საფრიადოსნო).

14. პედსასწავლებლის კურსის ექსტერნად დამთავრების ატესტატი.

15. 1936 წლამდე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მოწმობა.

16. 1936 წლამდე პედსასწავლებლის კურსდამთავრებულთა მოწმობა.

17. მუშფაკის კურსდამთავრებულთა მოწმობა (ჩვეულებრივი).

18. მუშფაკის კურსდამთავრებულთა მოწმობა (საფრიადოსნო).

19. მოზარდთა სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

20. მოზრდილთა არასრული საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

21. მოზრდილთა საშუალო სკოლის პირველი შვიდი კლასის დამთავრების მოწმობა.

22. მოზრდილთა საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი.

23. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსის დამთავრების ატესტატი (ჩვეულებრივი).

24. პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსის დამთავრების ატესტატი (საფრიადოსნო).

25. აზერბაიჯანული დაუსწრებელი პედსასწავლებლის კურსის დამთავრების ატესტატი.

26. ოსური დაუსწრებელი პედსასწავლებლის კურსის დამთავრების ატესტატი.

27. მოზრდილთა დაუსწრებელი ა/ს სა.შ. სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა.

28. მოზრდილთა დაუსწრებელ. სა.შ. სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი.

29. მოსწავლეთა ქების სიგელი

§ II. სა.ქ. სსრ განსახკომის სისტემაში შემავალი ყველა ტიპის და ეროვნების სკოლისავთის მოწმობა-ატესტატები და ქების სიგელები დაბეჭდილია ორ ენაზე: ქართულზე და რუსულზე—ერთ გვერდზე ქართულად და მეორეზე—რუსულად.

§ III. მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების დედნებისა და ასლების ბეჭდვა მთავრდება ყოველი წლის პირველ მაისამდე.

მოწმობა-ატესტატების ბლანკების დაკარგვა-გატაცების თავიდან ასაცილებლად განსახკომში სპეციალური პირების გამოყოფით, სისტემატური კონტროლი ეწევა მოწმობა-ატესტატების ბეჭდვის, დაბეჭდილი ბლანკების შესაფერისად დაცულ ბინაში შენახვისა და მათი მიღება-გაცემის საქმეში მტკიცე ანგარიშგების დაყენებას.

§ IV. მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების გაცემა განათლების სახ. ორგანოებიდან წარმოებს შემდეგი წესით:

1. განსახკომიდან მოწმობებს, ატესტატებსა და ქების სიგელებს განსახკომის სისტემაში შემავალი ყველა ტიპის სკოლისათვის ღებულობენ მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის განათლების სახალხო კომისრები და საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეები პირადად, ან სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირების საშუალებით.

მოწმობა—ატესტატების, ან ქების სიგელების გაცემა ცალკეულ სკოლებსა ან ცალკე პირებზე აკრძალულია.

2. მოწმობა-ატესტატების მისაღებად, ასს რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის განსახკომები და საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეები შემოწმებითი გამოცდების დაწყებამდე ერთი თვით ადრე განსახკომის შესაბამ. სამმართველოში აგზავნენ დაზუსტებულ მოთხოვნილებას სკოლების ცალკეული ტიპების მიხედვით.

3. მოწმობა-ატესტატებზე მოთხოვნილებათა წარმოდგენა შემდეგ ფორმის მიხედვით სწარმოებს:

№№	მოწმობა - ატესტატის დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა კურსის დასამთავრებელ კლასში (სასწავლო წლის უკანასკნელი მეოთხედის დასაწყისში ფაქტიურად არსებული კონტინგენტის მიხედვით)	შენიშვნა

§ V. განათლების განყოფილებანი კურსდამთავრებულთა მოწმობებისა და ატესტატების ბლანკების სკოლებზე გაცემას აწარმოებენ შემდეგი წესით:

1. სკოლებზე ბლანკების გაცემა უნდა მოხდეს მას შემდეგ, როცა სკოლის დირექტორი დაადასტურებს სასწავლო წლის ბოლოს მოწვეულ პედსაბჭოს დასკვნითი სხდომის გადაწყვეტილებას მოსწავლეთა მიერ სკოლის ამა თუ იმ საფეხურის კურსის დამთავრების შესახებ და განათლების განყოფილებას წარუდგენს კურსდამთავრებულთა დამოწმებულ სახელობით სიებს.

2. საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებულებზე, რომელთაც უნდა მიეცეს განსაკუთრებული ატესტატი საშუალო სკოლის ფრიადზე დამთავრების შესახებ, თითოეული სკოლის დირექტორი, გარდა სახელობითი სიებისა, განათლების განყოფილებას წარუდგენს საფრიადოსნო ატესტატის მიმღებ კურსდამთავრებულთა სასწავლო წლის ოთხივე მეოთხედის შეფასებებს (ნიშნებს) ყველა ძირითად დისციპლინებში და გამოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვებ გამოცდებზე ცალკე ძირითად სასწავლო დისციპლინების მიხედვით შესაბამისი ოქმების ასლებს.

3. სკოლის დირექტორები (გამგეები) და განათლების განყოფილებანი დაწყებითი სკოლის კურსის დამთავრებისა და არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პირველი ოთხი კლასის დამთავრების მოწმობის გაცემას აწარმოებენ 10 ივნისისათვის, ხოლო არასრული საშუალო სკოლის კურსის, საშუალო სკოლის პირველი შვიდი კლასისა და საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობებისა და ატესტატების გაცემას 20—23 ივნისისათვის.

4. იმ მოსწავლეებს, რომელთაც საშემოდგომო გაწმენდრობითი გამოცდები ეჭვნათ დანიშნული, მოწმობა-ატესტატები მიეცემათ არა უგვიანეს 31 აგვისტოსა.

5. მოწმობა-ატესტატების ბლანკების გაცემის სარეგისტრაციოდ თვითეულ განათლების განყოფილებაში უნდა იქნეს შემოღებული შემდეგი სახის წიგნი:

№№	სკოლის სრული სახელწოდება	გაცემული მოწმობა-ატესტატის დასახელება	გაცემული მოწმობა-ატესტატის რაოდენობა (სიტყვებით)	მიმღების ვინაობა	მიმღების ხელის მოწერა

სარეგისტრაციო წიგნი უნდა იქნეს ზონარგაყრილი, დალუქული და ატესტატების ბლანკებთან ერთად საიმედო ადგილს შენახული.

6. მუშფაკებისა და მოზარდთა სკოლების კურსდამთავრებულთათვის, არასრული საშუალო სკოლის ექსტერნად კურსდამთავრებულთათვის, პედსასწავლებლის ექსტერნად კურსდამთავრებულთათვის.*)

1936 წლამდე პედსასწავლებლებისა და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის.**) მოზრდილთა დაუსწრებელ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის ატესტატებისა და მოწმობების შევსება, დამოწმება და გაცემა იწარმოების რაიონის განათლების განყოფილებაში სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.

7. საშუალო სკოლის ექსტერნად კურსდამთავრებულთათვის, პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლის, აზერბაიჯანული დაუსწრებელი და ოსური დაუსწრებელი პედსასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის ატესტატების შევსება, დამოწმება და გაცემა იწარმოებს უშუალოდ საქ. განსახკომში, ასსრ-ს და ავტონომ. ოლქში კი — შესაბამის განსახკომში, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.

§ VI. მოწმობა-ატესტატების გაცემა სკოლების მიერ შემდეგი წესით სწარმოებს:

1. თითოეულ სკოლაში კურსდამთავრებულთათვის სათანადო-მოწმობა ატესტატის გაცემა წარმოებს სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით და დირექტორის (გამგის) პირადი პასუხისმგებლობით.

თითოეული მოწმობა და ატესტატი სწორად და გარკვეული ხელით იქსება ორივე მხარეზე (როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე). მოწმობა-ატესტატი უნდა ჩაბარდეს, როგორც წესი, კურსდამთავრებულს პირადად, გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება იგი მიეცეს კურსდამთავრებულის მშობლებს.

2. თითოეულ კურსდამთავრებულზე გასაცემ მოწმობა-ატესტატის დედანთან ერთად შევსებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს მათი ასლებიც. ასლები შენახულ უნდა იქნეს კურსდამთავრებულის პირად საქმესთან ერთად სკოლის არქივში.

3. მოწმობა-ატესტატის დაკარგვის შემთხვევაში კურსდამთავრებულს, სათანადოდ

*) პედსასწავლებლის კურსის ექსტერნად ჩაბარების უფლება ეძლევა მხოლოდ დაწყებითი სკოლების იმ მასწავლებლებს, რომელთაც საატესტაციო კომისიის მიერ სათანადო დასკვნა აქვთ მიცემული.

**) 1936 წლამდე საშუალო სკოლისა და პედსასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის მოწმობების ბლანკების მისაღებად-განათლების განყოფილებების სათანადო დოკუმენტის საფუძველზე განსახკომის საშუალო სკოლის სამმართველოში ადგენენ კურსდამთავრებულთა სახელობით სიას.

გაფორმებული ცნობის საფუძველზე, შეიძლება მიეცეს დუბლიკატი, რომელიც უნდა შეივსოს სკოლის არქივში დაცული მოწმობა-ატესტატის ასლის მიხედვით. ამ შემთხვევაში არქივში დაცულ ასლზე უნდა აღინიშნოს, რომ გაცემულია დუბლიკატი.

4. კურსდამთავრებულთათვის გაცემული მოწმობა-ატესტატების აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნით თითოეულ სკოლაში შემოღებულ იქნეს შემდეგი ფორმის წიგნი:

№№ რიგზე იგივე № მოწმობა-ატესტატისათვის	კურსდამთავრებული გვარი, სახელი, მამის სახელი	გაცემული დოკუმენტის დასახელება	დოკუმენტის გაცემის წელი, თვე და რიცხვი	მიმღების ხელის მოწერა	შენიშვნა

5. მოწმობა-ატესტატის ბლანკის შეცვლის დროს ან სხვა მიზეზით გაფუჭების შემთხვევაში სკოლაში უნდა შეედგეს სათანადო აქტი და განათლების განყოფილებიდან სამაგიერო ბლანკის მისაღებად წარმოდგენილ შუამდგომლობასთან ერთად დართულ იქნეს, როგორც გაფუჭებული ბლანკი, ისე საამისოდ შედგენილი აქტიც.

6. პედაგოგიური სასწავლებლის, შოსრდილთა არასრული საშუალო და მოზრდილთა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთათვის ატესტატების ბლანკები ასლებით დირექტორმა ან სასწავლო ნაწილის გამგემ უნდა მიიღოს უშუალოდ რაიონის განათლების განყოფილებაში. დირექტორების მიერ ატესტატების გაცემისა და გაცემული ატესტატების აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის დაცულ უნდა იქნეს ყველა ის წესი, რაც საშუალო სკოლებისათვისაა მიღებული.

§ VII. ქების სიგელები მიეცემათ პედაგოგიური საბჭოების დადგენილებით დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII და IX კლასის იმ მოსწავლეებს, რომლებიც ყველა ძირითად სასწავლო დისციპლინაში და ყოფაქცევაში მიიღებენ საბოლოო შეფასებას (ნიშანს) ფრიადს, დამოუკიდებლად შეფასებისა—ხატვასა, სიმღერასა და ფიზკულტურაში.

აღნიშნულ მოსწავლეთათვის ქების სიგელების მიღებას, შევსებასა და გაცემას სკოლა აწარმოებს იმგვარი წესით, როგორც მოწმობა-ატესტატებზეა დადგენილი, იმ განსხვავებით, რომ ქების სიგელების ასლების ნაცვლად მოსწავლის პირად საქმეში აღინიშნება ცნობა მისი ქების სიგელით დაჯილდოების შესახებ.

§ VIII. კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობები გაიცემა შემდეგი წესით: დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის I, II, III, V, VI, VIII და IX კლასის მოსწავლეებს, სათანადო კლასებში შემოწმებითი გამოცდების დამთავრებიდან სამი დღის ვადაში, ხელზე მიეცემათ აკადემიური წარმატებისა და კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობები, რომელშიაც კლასის ხელმძღვანელთა მიერ აღნიშნულ და სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით დადასტურებული იქნება პედსაბჭოს დადგენილება მოსწავლის შემდგომ კლასში გადაყვანის, იმავე კლასში დატოვებისა, ან მისთვის საშემოდგომო განმეორებითი გამოცდების დანიშვნის შესახებ.

§ IX. მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების მიღება-გაცემის ანგარიშგება შემდეგი სახით წესრიგდება:

1. თვითეული სკოლა 25 ივნისამდე უდგენს განათლების განყოფილებას ცნობებს იმის შესახებ, თუ მიღებული მოწმობა-ატესტატისა და ქების სიგელის ბლანკებიდან რამდენი გასცა დანიშნულებისამებრ და რამდენი არ იქნა გამოყენებული სხვადასხვა მიზეზის (მოსწავლის გარდაცვალების, ავად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფობის, მოსწავლისა და მშობლების სხვა-გან გადასვლისა და სხვა შემთხვ.) გამო.

2. განათლების განყოფილება სკოლებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე 1-ლ ივლისამდე უდგენს განსახკომის შესაბამ სამმართველოს წერილობით ცნობებს მოწმობა ატესტატებისა და ქების სიგელების. ცალცალკე სახეების მიხედვით, გაცემული რაოდენობის შესახებ.

3. მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების მიღება-გაცემის შესახებ საბოლოო ანგარიშებს განათლების განყოფილებანი ადგენენ 5 სექტემბრისათვის და ყველა გამოუყენებელ და გაფუჭებულ მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების ბლანკებთან ერთად სათანადოდ გაფორმებული აქტებითურთ აბარებენ განსახკომის შესაბამ სამმართველოს უფროსს.

4. მოწმობა-ატესტატებისა და ქებების სიგელების ბლანკების მიღების, შესაფერ რაკინის ყუთებში შენახვისა და გაცემის შესახებ ზემოაღნიშნული ინსტრუქციის გატარების საქმეში პასუხისმგებლობა ეკისრება განსახკომის სათანადო სამმართველოს უფროსს. ასსრ და ავტ. ოლქის განათლების სახ. კომისრებს, რაიონულ (საქალაქო) განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლის დირექტორებს (გამგეებს). მათვე ევალებათ ამ დადგენილების დარღვევისა, ან მოწმობა-ატესტატის თითოეული ბლანკის დაკარგვა-გატაცების შემთხვევაში კონკრეტულად დამნაშავე პირების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ზომების მიღება და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემა.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი

Библиотека

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1110

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 4 მარტს

ბორჯომის რაიონის—ყვიბისის, ბორჯომის და დვირის საშუალო და კორტანეთის არასრული საშუალოსკოლების გამორკვევის შედეგების შესახებ.

ბორჯომის რაიონის ყვიბისის საშუალო, კორტანეთის ა/სრ საშუალო, ბორჯომის I საშუალო და დვირის საშუალო სკოლებში გაარჩინათ ზოგიერთი მიღწევები: საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1935 წ. 3 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე განმტკიცებული სასწავლო რეჟიმი; მინიმუმამდეა დაყვანილი მოსწავლეთა და მასწავლებელთა დაკლება-დაგვიანება. ძირითადად გატარებულია გეგმიანი მუშაობა—მრავალ სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს აქვთ, როგორც წლიური და მეთოხუდური, ისე ყოველდღიური გეგმები. მეცადინეობა გაკვეთილების მტკიცე ცხრილის საფუძველზე ტარდება. საჭირო ღონისძიების გატარების საფუძველზე შემცირებულია ორწლიანების და ჩამორჩენილების რიცხვი. ბორჯომის I საშუალო სკოლაში პირველ სექტემბრისათვის 80 ორწლიანი მოსწავლე იყო. მასწავლებელთა კოლექტივის ენერგიული მუშაობით ამათგან მეორე მეთხუდისათვის ასწრებს 52 მოსწავლე. ყვიბისის საშუალო სკოლაში 15 ორწლიანიდან 7-მა უკვე მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება.

მასწავლებელთა უმრავლესობა ჩაბმულია დაუსწრებელ პედაგოგიურ სწავლებაში; მუშაობენ ადგილობრივი დახელოვნეპის კურსებზე, იწერენ და კითხულობენ მეთოდურ ლიტერატურას. სკოლებთან ცოცხალი კავშირით და მიმოწერით გაუმჯობესებულია მეთოდური ხელმძღვანელობა; ტარდება ღია გაკვეთილები, ეწყობა ახალგაზრდა კადრებზე დახმარება გაკვეთილებზე დასწრებით, სათანადო მითითებებით და სხვ.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი დაუფლებულია საგნის სწავლების მეთოდიკას. ბორჯომის I საშუალო სკოლის მასწავლებელი ქ. ხურციძე ქართული ენის გაკვეთილს ძირითადად გამართლებული მეთოდებით ატარებს. ამავე სკოლის I კლასის მასწავლ. ლ. ოსიფაშვილი სანიმუშოდ ატარებს წერას ქართულში. დვირის საშუალო სკოლის მასწავლ. ბ. ბაქრაძეს კარგად აქვს დაყენებული ისტორიის სწავლება და სხვ.

ამ მიღწევებთან ერთად არის რიგი სერიოზული დეფექტებისა.

დვირის საშუალო სკოლის (დირ. ნაცვლიშვილი) და კორტანეთის ა/სრ. საშუალო სკოლის (დირ. ვეფხვაძე) დირექტორებს ჯერ არ შეუდგენიათ სამუშაო გეგმები. დვირის საშუალო სკოლის დირექტორს წლიური სასწავლო სამუშაო გეგმა ნაგლეჯ ქაღალდებზე აქვს შედგენილი და ისიც შეცდომებით. ამავე სკოლაში განსახკომის ოფიციალური პროგრამებიც კი არ არის დაყვანილი თითოეულ მასწავლებლამდე. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ავაბო ხურციძეს ფვითონაც არ მოეპოვება განსახკომის პროგრამა არაორგანიულ ქიმიაში.

ზოგ სკოლაში არ არის შედგენილი მასწავლებელთა შინაგანაწესი (ყვიბისის და დვირის საშუალო სკოლები).

დვირის საშუალო სკოლაში გაკვეთილების ცხრილი არა წესიერადაა შედგენილი (ქართული ენისა და ლიტერატურის საათები განაწილებულია მარტო 5 დღეზე იმ აზრით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დირექტორს და მასწავლებელ სამადა-შვილს შაბათობით არ უქნეთ გაკვეთილ-ები).

არ ექცევა ყურადღება საქმისწარმოების წესიერ გაფორმებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები არ არის წესრიგში მოყვანილი, დირექტორის ბრძანებები უბრალო ქაღალ-დებზეა ნაწერი, მათში მრავალი ენობრივი შეცდომებია დაშვებული.

არის შემთხვევები, როცა სკოლის ხელმ-ძღვანელობა აშკარა უასუხისმგებლობას იჩენს მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრ-დის საქმეში; დვირის საშუალო სკოლაში ადგილი აქვს უდისციპლინობისადმი წაქეზე-ბას, მასწავლებელთა ურთიერთ-შორის ინტ-რიგას მოსწავლეებლის უხეშ დამოკიდებუ-ლებას მოსწავლისადმი — ფიზიკურ შეხებას (მასწ. სამადაშვილი) და სხვ., რის შედეგა-დაც ადგილი აქვს მოსწავლეთა ხულიგნურ მოქმედებებს მასწავლებელთა მიმართ. ასე, მაგალითად,—მოსწავლეთა ერთი ჯგუფის თავდასხმა სასწავლო ნაწილის გამგე ხურ-ციძეზე, იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს მიეცა მათთვის კარგი შეფასება; ასეთივე თავდასხმა აღკაკ კომიტეტის მდივანზე, მოსწავლეთა ერთმანეთისადმი მიმართვა უწ-მაწური სიტყვებით, ერთმანეთისადმი შეუ-ფერებელი წერილების მიმოწერა და სხვ... სკოლის დირექტორი ქ. ნაცვლიშვილი არ ღებულობს ზომებს მდგომარეობის გამო-სასწორებლად.

გამორკვეულ სკოლებში (გარდა ბორჯო-მის საშ. სკოლის დაწყებითი კლასებისა) ცუ-დათაა დაყენებული წერითი მუშაობის საქ-მე. მოსწავლენი არ არიან უზრუნველყოფი-ლი შესაფერი და საკმაო რაოდენობის რვე-ულებით. თითოეული მასწავლებელი თავი-სებურად ასწორებს რვეულებს. მასწავლე-ბელთა მიერ გასწორებულ ნაწერებში შე-უმჩნეველია მრავალი შეცდომა (დვირის საშ. სკოლის დაწყებითი კლასები, კორტა-ნეთის ა/სრ საშ. სკოლა და სხვ). მოსწავლე-თა ნაწერი უსუფთაოა და არა კალიგრაფი-ული. მასწავლებელთა მიერ მიცემული ასო-თა ნიმუშები არა დამაკმაყოფილებელია. ჩატარებული წერების რაოდენობაც არ არის საკმაო. დვირის საშუალო სკოლის კლასში წერა არ ჩატარებულა 1938 წ. 12/XII შემდეგ, ეს ნაწერიც დღემდე გაუს-წორებელია (მასწ. სამადაშვილი). ბორჯო-მის I საშუალო სკოლის მე-8, 9 და 10 კლა-სებში წერა არ ჩატარებულა 10/II შემდეგ (მასწ. თ. გახარია). ქართული ენის სწავლე-ბა ზოგჯერ ზერელედ სწარმოებს. ყვიბისის საშუალო სკოლის მე-5 კლასის მასწავლე-ბელი გრ. ვეფხვაძე არაჯეროვნად ატარებს ქართული ენის გაკვეთილებს; არ იყენებს თვალსაჩინოებას და პრაქტიკულ ვარჯიშს. არ სწარმოებს საშინაო დავალებათა მიცე-მა და სხვ. ასევე არადამაკმაყოფილებად მუშაობს ამავე სკოლის ქართული ენის მას-წავლებელი გაფრინდაშვილი და კორტანე-თის ა/სრ საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვეფხვაძე.

ქართული ლიტერატურის გაკვეთილებს არ უკავშირებენ პოლიტ-აღმზრდელობით მუშაობას და, რაც მთავარია—ისტორიულ ფაქტებს.

დვირის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლენი ვერ იძლევიან გარკვეულ პა-სუხს ი. ჯავშავაძის, გ. წერეთლის და ეგ-ნინოშვილის მსოფლმხედველობის შესახებ. ე. ნინოშვილი წერილ ბურჟუაზიული იდეო-ლოგიის მატარებელიაო—ამბობს ამავე სკო-ლის ფრიადოსანი მოსწავლე ჩაპიძე.

მათემატიკის სწავლება ხშირად მშრალი ლექციური მეთოდით მიმდინარეობს. ნაკლე-ბი ყურადღება ექცევა პრაქტიკულ ვარ-ჯიშს, თვალსაჩინოებას და გაგილი მასა-ლის გამეორება-გამტკიცებას. საპროგრამო მასალაში ჩამორჩენა აქვს ბორჯომის I საშ. სკოლის მე-10 კლ. ბუნებისმეტყველებისა და ქიმიის სწავლება ხდება თვალსაჩინოების გარეშე. მოუწყობელი და ღარიბია აღნიშ-ნული საგნების ლაბორატორია-კაბინეტები.

დვირის საშუალო სკოლაში ადამიანის ტორსი იატაკზე გდია, ქიმიის და ფიზიკის ხელსაწყოები ერთადაა, რაც იწვევს ხელსაწ-ყოების დაკარგვას და სხვ.

არ ხდება სკოლის ნაკვეთების გამოყენე-ბა ამ მიმართულებით.

გეოგრაფიის სწავლებას არ ექცევა ჯერო-

ენინ ყურადღება. აღნიშნული საგნის გაკვეთილები ტარდება ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე. არ ხდება კონტურული რუკების შედგენა. არ ექცევა ყურადღება გეოგრაფიული ტერმინების სწორად შეთვისებას. დვირის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლენი ვერ ერკვევიან ისეთ საკითხებში, როგორიცაა—იმპერიალისტური ქვეყნების კოლონიალური პოლიტიკა,მათი მიზანი და ამოცანები, ნაციონალურ გამანთავისუფლებელი მოძრაობა კოლონიებში და სხვა მისთანანი. კორტანეთის აია სრული საშუალო სკოლის მასწავლებელი კაპანაძე მოუმზადებელი შედის გაკვეთილზე, დღიურსაც დასვენებიდ დროს ადგენს. რის შედეგადაც მისი გაკვეთილი უსისტემო და ცუდი ხარისხისაა.

ისტორიის სწავლება გამორკვეულ სკოლებში ხასიათდება რიგი ნაკლოვანებებით: გაკვეთილებზე არ ხდება ისტორიული რუკების, ჩანახაზების, ისტორიული სქემების, ქრონოლოგიური ცხრილის და სხვათა გამოყენება. კორტანეთის ა/სრ საშუალო სკოლის მასწავლებელი კაპანაძე ისტორიის გაკვეთილებზე მარტო კითხვა პასუხს იყენებს. თხრობა და ცოცხალი სიტყვა მივიწყებულია. ბორჯომის I საშუალო და კორტანეთის ა/სრული საშუალო სკოლაში საპროგრამო მასალის გაფლა ისტორიაში ჩამორჩენილია. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი კონსტიტუციის სწავლებაში. კორტანეთის ა/სრ საშუალო სკოლის მასწავლებელი კაპანაძე მოუმზადებელი შედის კონსტიტუციის გაკვეთილზე. იგი თვითონაც ვერ ერკვევა კონსტიტუციის ზოგიერთ საკითხებში და გაკვეთილსაც ვერ მართავს კარგად.

აქედან გამომდინარე ვბრძანებ:

1. დაეკალოს დვირის საშუალო და კორტანეთის ა/სრ საშუალო სკოლის დირექტორებს ერთი კვირის განმავლობაში შეადგინონ დირექციის სამუშაო გეგმები და მის საფუძველზე გაშალონ გეგმიანი მუშაობა.

2. დვირის საშუალო სკოლის დირექტორმა ერთი კვირის ვადაში გადაამუშაოს სკოლის წლიური სასწავლო სამეზრდელო გეგმა, შესასრულებელი საკითხები გაითვალისწინოს ზუსტი კალენდარული ვადების მიხედვით.

3. ბორჯომის რაიონის განათლების განყოფილებამ გააძლიეროს ხელმძღვანელობა დვირის საშუალო სკოლაზე. სკოლის სასწავლო სამეზრდელო მუშაობის ხშირი გამოკვლევისა და ადგილებზე მასწავლებელთათვის კონკრეტული დახმარების გაწევის საშუალებით.

4. დვირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე აგაბო ხურციძემ ორი დღის განმავლობაში დაუზუსტოს. განსახილველ პროგრამების საფუძველზე, თავისი სამუშაო გეგმა ქიმიაში, შეიტანოს ძასში არაორგანიული ქიმიის საკითხები, უზრუნველჰყოს მათი დამუშავება წლის ბოლომდე.

5. დვირის საშუალო და ბორჯომის I საშუალო სკოლის დირექტორებმა სამი დღის ვადაში გადაამუშაონ სასწავლო ცხრილი საკ. კ.-პ. (ბ) ცეკას და საკ. სახკომსაბჭოს 1935 წლის 3 სექტემბრის დადგენილებაში მოცემული მითითებების საფუძველზე; აიკრძალოს ცალკე საგნების გაკვეთილების დაჯგუფება მიმდევნო დღეების მიხედვით.

6. ყვიბისის საშუალო სკოლის მასწ. გახარიამ და გაფრინდაშვილმა მეტი იმუშაონ თავის თავზე; ყოველდღიური მუშაობით აიმაღლონ კვალიფიკაცია, დაეუფლონ ქართული ენის სწავლების მეთოდს, შემოიღონ ენის გაკვეთილზე თვალსაჩინოება, პრაქტიკული ვარჯიში, საშინაო დავალების რვეულები და სხვ.

7. დაეკალოს ბორჯომის რაიგანგანყოფილებას; კორტანეთის, დვირის და ყვიბისის სკოლების ადმინისტრაციასთან ერთად, მოამზადოს აღნიშნული სკოლები ფიზიკის ქიმის და ბუნებისმეტყველებისათვის საჭირო ხელსაწყოებით.

8. დვირის და ბორჯომის I საშუალო და კორტანეთის ა/სრ საშუალო სკოლის შესაბამი საგნების მასწავლებელმა წესრიგში მოიყვანოს ქიმიის და ფიზიკის ხელსაწყოები; უზრუნველყონ მათი მოვლა-პატრონობა და შესაფერად გამოიყენება გაკვეთილებზე; მოაწყონ ცოცხალი კუთხე და მუშაობის პროცეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში სათანადოდ გამოიყენონ სკოლის ნაკეთები.

9. კორტანეთის ა/სრ საშუალო სკოლის მასწავლებელი კაპანაძე მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს ისტორიის, გეოგრაფიის და კონსტიტუციის სწავლების საქმეს; წინასწარ საფუძვლიანად მოემზადოს თითოეული გაკვეთილისათვის, ყოველდღიური მუშაობით იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ხოლო სკოლის დირექტორმა ამხ. ვეფხვაძემ მასწ. კაპანაძეს შეუქმნას მუშაობისათვის საჭირო პირობები.

10. ბორჯომის I საშუალო და კორტანეთის ა/სრ საშუალო სკოლის მასწავლებელმა გორდაძემ და კაპანაძემ უზრუნველყონ ისტორიის პროგრამის შესრულება. ლიკვიდირებულ იქნეს არსებული ჩამორჩენა ამ საგანში.

11. დვირის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედში გამოასწორონ ჩამორჩენა მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში; გააუმჯობესონ კალიგრაფია, შეიტანონ წერითი მუშაობის ნაირსახეობა, გულდასმით და პასუხისმგებლობით მოეკიდონ წერითი ნამუშევრების გასწორებას.

12. დაევალოს ბორჯომის რაიონის განგანყოფილებას კორტანეთის ა/სრ საშუალო, დვირის და ყვიბისის საშუალო სკოლების დირექციასთან ერთად, მოამზადოს სკოლები კლასებისათვის შესაფერი და საკმარი რაოდენობის რვეულებით.

13. დვირის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მ. სამადაშვილმა და ბორჯომის I საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა თ. გახარიამ მეტი რაოდენობით აწარმოონ წერა. გაასწორონ ის გულდასმით და პასუხისმგებლობით.

14. განათლების განყოფილებამ და სკოლების დირექტორებმა, მოსწავლეთა აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, გარდაქმნან მშობლებთან მუშაობა განსახკომის მიერ მიღებულ მშობლიური კომიტეტის დებულების საფუძველზე.

15. დაევალოს ბორჯომის განგანყოფილების გამგეს და დვირის საშუალო სკოლის დირექციას საქ. ალკ ბორჯომის რაიკომთან ერთად მოაწესრიგონ მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდის საკითხი, აღმოფხვრან სკოლაში და სკოლის გარეთ მოსწავლეთა ხულიგნური მოქმედების ფაქტები. დვირის საშუალო სკოლის პედ-კოლექტივმა, მოწაფეთა და მშობელთა ორგანიზაციებმა მთლიანად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ამ მიმართულებით.

16. დვირის საშუალო სკოლის დირექციამ და ბორჯომის განგ. განყოფილებამ შექმნას მასწავლებელთა და განგანყოფილებას შორის ჯანსაღი პედაგოგიური დამოკიდებულება.

17. დვირის საშუალო სკოლის დირექციამ საამი დღის განმავლობაში სისტემაში მოიყვანოს საქმის წარმოება: გაუმჯობესოს ფორმისა და შინაარსის მხრივ ბრძანების წიგნი, საერთო საწერ წიგნში გააფორმოს პედსაბჭოს ოქმები, შექმნას მოსწავლეთა პირადი საქმეები სათანადო საბუთებით და სხვა.

18. დვირის საშუალო სკოლის დირექტორი ქ. ნაცვლიშვილი მოიხსნას თანამდებობიდან საქმისადმი თავის გაუთრთმევლობის და მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის და გადაყვანილ იქნას დვირის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტ. მასწავლებლად.

19. დვირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე აგაბო ხურციძე უმოქმედობისა და მოვალეობის შეუსრულებლობისათვის მოიხსნას თანამდებობიდან და დატოვებული იქნეს ბუნებისმეტყველებისა და ქიმიის მასწავლებლად.

20. ბორჯომის განგანყოფილებამ დაუყოვნებლივ შეარჩიოს დვირის საშუალო სკოლის დირექტორისა და სასწ. ნაწილის გამგეებისათვის შესაფერი კანდიდატები და გადმოგზავნოს განსახკომში დასამტკიცებლად.

21. განათლ. განყოფილებამ ყურადღებით შეისწავლოს დვირის საშ. სკოლის მასწავლებელი შუშანა ჯოხაძე და ახალი სასწავლო

წლიდან გამოიყენოს იგი მისი კვალიფიკაციის მიხედვით.

22. ბორჯომის განგანყოფილებამ ა/წ 15 აპრილამდე დაამუშაოს აღნიშნული დადგენილება რაიონის ა/სრ საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებისა და სასწ. ნაწილის გამგეების თათბირზე და ადგილობრივ დასახლის დადგენილებიდან გამომდინარეობა ჭირო ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ განსახკომის მოადგილე
ლ. ბეგეშვილი

ბრძანება № 1903

განათლების სახ. კომისარიატისადმი.

1939 წ. 21 აპრილს

ჩხარის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ

გავეცანი რა ჩხარის განათლების განყოფილების მუშაობის გამორკვევის მასალებს, აღვნიშნავ: ჩხარის რაიონმასკომის სახალხო განათლების განყოფილებას თავის მუშაობაში გ/წ შედარებით აქვს ნაწილობრივი მიღწევები: პრეველდაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების, მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების, სკოლების მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტების და პედკაბინეტის მუშაობის გაშლის საქმეში. მიუხედავად ამისა ჩხარის რაიონის განგ. განყოფილების მუშაობა ხასიათდება მთელი რიგი დეფექტებით, რაც გამოიხატება შემდეგში:

განათლების განყოფილებას არა აქვს წლიური სამუშაო გეგმა. 1939 წლის 1 კვარტალის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოები არ ითვალისწინებს სასკოლო მუშაობის ყველა საკითხს. განათლების განყოფილება ვერ უწევს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას და კონტროლს გეგმით გათვალისწინებულ საკითხების შესრულება - შემოწმების საქმეს. სასკოლო ინსპექტორების მიერ გაკვეთილებით გადატვირთვის გამო სკოლებს არ ეწევათ საქმიანი დახმარება და ხელმძღვანელობა, რაიონში არსებულ 30 სკოლიდან 10 მარტისათვის გამოკვლეული იყო მხოლოდ 16 სკოლა.

სკოლებში მეთოდთათბირების მუშაობა არ არის გაშლილი, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, სკოლებში საგნობრივი საკლასო მეთოდური კომისიები, მასწავლებელთა საუბნო ჯგუფური მეთოდთათბირები, დებულება მეთოდური მუშაობის, მასწავლებელთა საუბნო-ჯგუფური მეთოდური თათბირის შესახებ სკოლაში არ არის განხილული. ზემდგომი ორგანონების დადგენილებებს განათლების განყოფილება ძლიერ ნელი ტემპით ასრულებს, სკოლების პასპორტიზაცია 10 მარტისათვის არ იყო დამთავრებული. მთელ რიგ სკოლებს (ჩხარის საშ. სკოლა, ჩხარი-ოქტომბრის და სხვა). პასპორტის პირველი ეგზემპლიარი წარმოდგენილი არ ჰქონდათ განგ. განყოფილებაში, არ გადმოუგზავნიათ განსახკომში რაიონის სკოლების პედაგოგიური შემადგენლობის დავთარი, სტატფორმა № 83, მოზრდილთა განათლების სკოლების კონტიგენტი (16 წ. 35 წ.) ხელმძღვანელობა მოზრდილთა განათლების სკოლებზე სუსტია. მ/წ 10 მარტისათვის განგ. განყ. მიერ არც ერთი მოზრდილთა სკოლის მუშაობა არ იყო გამორკვეული და შესწავლილი, სკოლის დირექტორები ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობენ აღმზრდელობით მუშაობის გაშლის საქმეში, რის შედეგად სკოლებში ადგილი აქვს ზოგიერთ მოსწავლეთა შორის სიმთვრალის გამო გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევებს (ჩხარის მოზრდ. საშ. სკ.), წ/კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეთა სკოლებში მუშაობა და მათზე ხელმძღვანელობა არადამაკმაყოფილებელია განგ. განყოფილებამ არ იცის 747 წ/კ უცოდინარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან და 1165 მ. მკოდნედან რაიდენია ფაქტიურად ჩაბმული სალიკეიდაციო სკოლებში, არ აქვს მოზრდილთა შორის მუშაობის გეგმა, მოზრდილთა განათლების ინსპექტორი ვერ უწევს საქმიან ხელმძღვანელობას და მეთოდურ დახმარებას სკოლებს. სკოლებში არ არის განხილული და შესწავლილი საქ. სსრ ცაკის და სახკომსაბჭოს 1938 წლის 13 აპრილის დადგენილება რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ არაურსულ სკოლებში, რის შედეგად სკოლის მოწაფეებმა არ იციან აღნიშნულ დადგენილების არსებობის შესახებ, სკოლებთან არ არის ჩამოყალიბებული რუსული ენის შემსწავლელი წრეები, დაწყ. სკოლების მე-3 და მე-4 კლასებს რუსულ ენას ასწავლიან ნაკლებად კვალიფიციური მასწავლებლები, რომლებიც გან. განყოფილების დახმარებას მოკლებულნი არიან. განათლების განყოფილებასთან არსებული პედკაბინეტი, ჯერ კიდევ ვერ უწევს საქმიან დახმარებას რაიონის ცენტრიდან ტერიტორიალურად დაშორებულ სკოლის მასწავლებლობს.

განათლების განყოფილება და სკოლის დირექტორები არ აქცევენ ყურადღებას მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა შორის მუშაობას, არ იციან რამდენი მეორეწლიანი და ძლიერ ჩამორჩენილი მოსწავლეები ყავთ სკოლებში და რაიონში. რაიონის ზოგიერთ სკოლაში არის ანტისანიტარული მდგომარეობა (ქ. ჩხარი—ოქტომბერი, ჩხარის საშ. სკოლა). რაიონის სკოლებს არ ჰყავთ მშობელთა დამხმარე საბჭოები (ჩხარის თერჯოლის საშ. სკოლები). ადგილი აქვს სკოლებიდან მოსწავლეების განთავსებას—(თერჯოლის საშუალო სკოლაში 1 მეოთხედში 19, მე-2 მეოთხედში 8). სკოლები არ აწარმოებენ სასწავლო-სააღმზრდელო გეგმების შესრულების შემოწმებას (ჩხარი, თერჯოლა). თერჯოლის საშუალო სკოლაში დირექტორს და სასწავლო ნაწილის გამგეს არა აქვს სამუშაო გეგმები, კლასის ხელმძღვანელთა გეგმები დღესაც არაა წარმოდგენილი თერჯოლის საშუალო სკოლაში. პროგრამებს მასწავლებლები თავის დროზე არ უდგენენ სკოლის დირექტორს, ზოგიერთი მასწავლებელი სრულიად არ უდგენს დირექტორს გეგმებს. რამას — მაგალითად: ჩხარის საშუალო სკოლაში პროგრამა წარმოუდგენელი ჰქონდა 1 მეოთხედში—8 მასწავლებელს, მე-3 მეოთხედში 5 მასწავლებელს, წლიური გეგმა 5 მასწავლებელს აკლია. თერჯოლის სკოლაში პროგრამები დირექტორს არ განუხილავს და არც დაუმტკიცებია.

ადგილი აქვს ზოგიერთ სკოლაში 3/IX-ის დადგენილების დარღვევის შემთხვევებს გაკვეთილების ცხრილის სტაბილურობის შესახებ—ჩხარის საშუალო სკოლაში გაკვეთილების ცხრილი დღემდე 13-ჯერ არის შეცვლილი—შარშან 16-ჯერ შეცვლილა. სკოლებში წარმატება დაბალია: თერჯოლის სკოლაში I მეოთხედში—18,8%, II მეოთხედში—65%, ჩხარის სკოლაში I მეოთხედში—48%, II მეოთხედში—63%, რაიონის ყველა სკოლაში I მეოთხედში წარმატება 45.1%. II მეოთხედში—71,1%—ჩხარის სასკოლო შენობა კარგია. მაგრამ მოუწყობელია. 3 ოთახი მოუთავებელია. სკოლის შენობაში 6 ოთახი სხვა დაწესებულებებს უჭირავს (რადიო სადგური, საბავშვო ბაღს). ამავე დროს თვით ამ სკოლის ორი კლასი (3—4) მეორე წყებაშია გადაყვანილი. სკოლების შენობასთან მისასვლელი გზები მოუკირწყლავია, რის შედეგად, წვიმის დროს დიდი ტალახი ჩნდება და უსუფთაობა შიგ შენობაში შეაქვთ მოსწავლეებს. ადგილი აქვს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების არადანშნულებისამებრ გამოყენებას (სასულე ორკესტრის ხელმძღვანელს ეძლევა თვეში 800 მანეთი, „ბუკის“ პასუხისმგებელ მდივანს—250 მან., კომკავშირის რაიკომის პნგანყოფილების ინსტრუქტორს—300 მან., სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნებს—600 მანეთი). პოლიტგანთლების დაწესებულებების ხაზით არ არის მუშაობა გარდაქმნილი, სუსტად მუშაობენ წრეები, კედლის გაზეთებს არ უშვებენ სისტემატურად სამკითხველოებსა და კლუბებში, არასაკმაოდ ტარდება პოლიტგანმუშაკების მიერ კულტმასობრივი მუშაობა კოლმეურნეობებში და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვბრძანებ:

1. დაეკალოს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. შ. ბოჭორიშვილს, რომ ერთი დეკადის ვადაში შეადგინოს წლიური და კვარტალური სამუშაოს გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებული იქნას შესრულებული სამუშაოები სახალხო განათლების ყველა დარგების მიხედვით, შემსრულებელი პირის გაპირიანებით, შესრულების ვადის აღნიშვნით და უზრუნველყოს სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული საკითხების შესრულების შემოწმება.

2. კატეგორიული წინადადება მიეცეს განგ. განყოფილების გამგეს, რომ ერთი დეკადის ვადაში გადმოგზავნოს გამსახკომში სკოლის პასპორტები, ცნობა მოზრდილთა სკოლების კონტიგენტის შესახებ, სტატფორმები და მომავალში არ დაუშვას ზემდგომი ორგანოების დირექტივების და დადგენილებათა დაწესებულ ვადებში შეუსრულებლობა.

3. ნახევარი დეკადის ვადაში განათლების განყოფილებამ და მეთოდკაბინეტმა ჩამოაყალიბონ მასწავლებელთა საუბნო მეთოდთათბირები, საკლასო მეთოდური კომისიები, საგნობრივი კომისიები, რომელზედაც განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

ა) განათლების განყოფილებათა გამგეების *რესპუბლიკური თათბირის მიერ მიღებული ლონისძიებანი;*

ბ) დებულება სკოლაში მეთოდური მუშაობის და დებულება მასწავლებელთა საუბნო ჯგუფური მეთოდთათბირის შესახებ — შედგენონ მეთოდთათბირის გეგმა და შეარჩიონ მეთოდთათბირების ხელმძღვანელად გამოცდილი და მომზადებული მასწავლებლები.

4. განათლების განყოფილებამ და სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) ხუთი დღის ვადაში გამოარკვიონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა რაიონში და გაუწიონ ასეთ მოსწავლეებს ყოველდღიური საქმიანი დახმარება მათი გამოსწორების მიზნით.

5. გარდაქმნილ იქნას მუშაობა პედკაბინეტის ხაზით, იმგვარად, რომ რაიონის ცენტრიდან ტერიტორიალურად დაშორებულ სკოლების მასწავლებლებს გაეწიოს მეტი დახმარება სასკოლო მუშაობის და პედაგოგიკის სწორად დაყენების საქმეში. რუსული ენის ექციის მუშაობაში გაერთიანებული იქნან უფრო მომზადებული მასწავლებლები და გაძლიერდეს დ/სკოლის მასწავლებლებისადმი დახმარება მათი რუსული ენის შემსწავლელ წრეებში ჩაბმით — ლიტერატურის მიწოდებით და სხვ. ერთი დეკადის ვადაში განგ. განყოფილებამ და სკოლის დირექტორებმა განიხილონ სკოლებში საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1938 წ. დადგენილება არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ. წ/კითხვის უცოდინარობის და მც. მეცდნეთა სკოლებში მეთოდური მუშაობის გარდაქმნის მიზნით განათლების განყოფილებამ სისტემატურად შეამოწმოს სკოლები და გაუწიოს მეთოდური დახმარება მასწავლებლებს. დაისვას საკითხი ჩხარის რაიაღმასკომის წინაშე, რომ სასოფლო საბჭოების და რაიაღმასკომების პრეზიდიუმის სხდომებზე სისტემატურად განხილონ წ/კ. და მც. მც. სკოლების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

6. განათლების განყოფილებამ სასწავლო წლის დამთავრებამდე უზრუნველჰყოს რაიონის ყველა სკოლის სრული გამორკვევა და შედეგების დამუშავება პედსაბჭოს კრებებზე *და მასწავლებელთა თათბირებზე. სკოლის* გამორკვევის შედეგები აუცილებლად ჩაწერილ უნდა იქნას სკოლის გამორკვევის სპეციალურ წიგნში. გამორკვევის დროს განგ. განყოფილების ინსპექტორებმა ყურადღება გაამახვილონ პროგრამებისა და სასწავლო-საალმზრდელო გეგმების შესრულების მდგომარეობასა და სკოლებში სანიტ. ჰიგიენური პირობების დაცვის საქმეზე.

7. დაისვას საკითხი ჩხარის რაიაღმასკომის წინაშე, რომ ახლავე მიიღოს გადამწყვეტი ზომები ჩხარის საშუალო სკოლის შენობის იმ ოთახების განთავისუფლებისათვის, რომლებიც დაჭერილი აქვთ სხვა დაწესებულებებს და ამით სკოლას შეუქმნას მუშაობის ნორმალური პირობები ერთწყვებად მუშაობისათვის.

8. გაფრთხილებულ იქნას განს. განყოფილების გამგე ამხ. ბოჭორიშვილი, რომ მტკიცედ გაატაროს საფინანსო დისციპლინა და არ დაუშვას გათვალისწინებული თანხების არადანიშნულებისამებრ გამოყენება. შეწყვეტილ იქნას განყოფილების ბიუჯეტიდან თანხების გაცემა—სასულე ორკესტრის ხელმძღვანელზე, კომკავშირის რაიკომის პ/განყოფილების ინსტრუქტორზე, სამხედრო ინსპექტორზე და სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნებზე.

9. განათლების განყოფილებამ ერთი დეკადის ვადაში შედგენოს რაიონის სკოლების მომავალ (1939/40) სასწავლო წლისათვის მზადების გეგმა და უზრუნველჰყოს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების დროულად და ხარისხოვანად შესრულება.

10. სკოლებზე სუსტი ხელმძღვანელობისა. მეთოდური მუშაობის ჩაშლისა, განსახკომის განკარგულებათა და დავალებების (სკოლების პასპორტიზაცია. სტატფორმები, მოზრდილთა კონტიგენტის დაზუსტება და სხვ.) დაწესებულ ვადებში შეუსრულებლობის და ფინანსიური დისციპლინის დარღვევის გამო, ჩხარის რაიკომსკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. შალვა ბოჭორიშვილს გამოეცხადოს საყვედური.

11. განათლების განყოფილების ინსპექტორს ამხ. ვარლამ კორძაძეს, რომელმაც თავის დროზე არ წარადგინა ბუხჰალტერიაში მის მიერ გატანილ საქვეანგარიშო თანხების გახარჯვის გასამართლებელი ანგარიშები. მიეთითოს და გაფრთხილებულ იქნას, რომ მომავალში არ დაუშვას სახელმწიფო თანხების ხარჯვის საქმეში ასეთი უპასუხისმგებლობა.

12. დაეკალოს საგეგმო საფინანსო ყოფილებას, რათა მ/წლის პირველ მაისამდე ჩაატაროს ჩხარის რაიკომსკომის სახალხო განათლების განყოფილების დეტალური ფინანსიური რევიზია.

13. დაეკალოს ამხ. კობახიძეს და დუდუჩავას დაამუშაონ პროექტი სახკომსაბჭოში წარსადგენად განს. განყოფილების ინსპექტორების შტატის რაოდენობის შესახებ ცალკე რაიონების მიხედვით და იმ რაიონებში. რომლებშიაც სბავშვო ბაღის რაოდენობა არ აღემატება ერთს—სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორები გამოყენებულ იქნენ სასკოლო ინსპექტორებად. მასწავლებლად დატოვებით.

14. ჩხარის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. გოგ. ბოჭორიშვილს მიეთითოს იმისათვის, რომ სკოლის მოსწავლეთა შორის სუსტადაა გაშლილი აღმზრდელობითი მუშაობა, რის შედეგად ადგილი აქვს მოსწავლეთა შორის უბეშობას, გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევებს და სხვა.

15. ჩხარი—ოქტომბრის დაწყ. სკოლის გამგე ამხ. შალვა ბუცხრიკიძე, რომელმაც ვერ უზრუნველყო სკოლაში სანიტარული პირობების დაცვის საქმე და არ გაატარა განსახკომის ბრძანება სკოლებში სანიტარული ჩვევების დანერგვის შესახებ, მოიხსნას გამგის თანამდებობიდან ამავე სკოლაში მასწავლებლად დატოვებით.

16. რაიონულ გაზეთ „ჩხარის კოლმეურნეობაში“ (ა/წ 16 თებერვლის ნომერი) მოთავსებული კორესპონდენცია სათაურით „განათლების განყოფილების მუშაობა გარდაქმნას საჭიროებს“, ჩაითვალოს ძირითადად დადასტურებულად.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის
მოადგილე ლ. გეგეშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ.

1939 წ. 10 მარტს

მიღების წესები

სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში 1939 წლისათვის.

1. უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება (ათწლედი, მუშფაკი, ტექნიკუმი, პედ. სასწავლებელი, მოზრდილთა საშუალო სკოლა, სამხედრო სკოლა—ათწლედის პროგრამის ფარგლებში) ან ატესტატი—ექსტერნატის წესით საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ.

შენიშვნა: ა) ის პირნი, რომლებმაც დაამთავრეს 1935 წლამდე მე-2 საფეხურის სკოლა (ცხრაწლედი) ან შვიდწლედის ბაზაზე სამწლიანი პროფესიონალური სკოლები უკრაინის სსრ-ში და ბელორუსიის სსრ-ში უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშ. სკოლების კურსდამთავრებულთა თანაბრად.

ბ) ტექნიკურ. სასწავლებელ დამთავრებული პირნი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე წარმოებიდან მოწყვეტით დაიშვებიან იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ კანონით დაწესებული სამწლიანი საწარმოო სტაჟი. აღნიშნული სტაჟი, თანახმად სსრკ კაკ-ის და სახკომსაბჭოს 1933 წლის 15 სექტემბრის დადგენილებისა, არ მოეთხოვებათ იმ პირთ, რომლებიც მოხვდნენ თვითეულ ტექნიკუმის გამოშვების 5%-ში.

გ) დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე პირნი თუ აქვთ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საერთო წესით.

2. საშუალო სკოლა (ათწლედი) დამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს „ფრიაღოსნობის“ ატესტატი, აგრეთვე 1939 წელს მუშფაკ დამთავრებულნი, რომლებსაც ყველა საგნებში (გარდა ხატვა, ბაზვისა) ნიშანი—ფრიადი აქვთ, უმაღლეს სასწავლებელში მიიღებიან მისაღები გამოცდების ჩაბარების გარეშე.

ეს უფლება ვრცელდება იმ პირებზედაც, რომლებმაც „ფრიადზე“ დაამთავრეს საშუალო სკოლა (ათწლედი) ექსტერნატის წესით.

3. ის პირნი, რომლებმაც 1939 წელს დაამთავრეს ტექნიკუმი ან სასწავლებელი და ყველა საგნში ნიშანი „ფრიადი“ აქვთ (გარდა ხატვა, ბაზვა, ფიზკულტურისა), რომლებიც მოხვდნენ თვითეულ ტექნიკუმის გამოშვების 5%-ში უმაღლეს სასწავლებლებში (თავის სპეციალობის მიხედვით) მიიღებიან მისაღები გამოცდების ჩაბარების გარეშე.

შენიშვნა: საშუალო სკოლის (ათწლედის), ტექნიკუმის ან სასწავლებლის, მუშფაკის ფრიადმსნებმა, რომლებსაც უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად შესვლის უფლება აქვთ, საარქიტექტურო და სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლებში ან ფაკულტეტებზე შესვლისას უნდა ჩააბარონ შესამოწმებელი გამოცდები ხატვაში. ხოლო ფიზიკალური და თეატრალურ უმაღლეს სკოლებში—აბარებენ სპეციალურ საგანს.

4. უმაღლეს სასწავლებლებში ყველა შემსვლელი, გარდა მე-2 და მე-3 პუნქტში აღნიშნული პირებისა აბარებს გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) რუსული ენა (წერითი თხზულება, გრა-

ბატიკა, ლიტერატურა). იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მეცადინეობა სწარმოებს სხვა ენაზე, გამოიცდება აგრეთვე იმ ენაში, რომელზედაც სწარმოებს მეცადინეობა მოცემულ უმაღლეს სასწავლებელში.

ბ) სსრკ ხალხთა ისტორია და სსრკ კონსტიტუცია:

გ) მათემატიკა;

დ) ფიზიკა;

ე) ქიმია:

ვ) ერთ-ერთი უცხო ენა — ინგლისური, გერმანული ან ფრანგული შემსვლელის არჩევით.

სასოფლო-სამეურნეო, ისტორიულ, ფილოლოგიურ, იურიდიულ, ეკონომიურ და გეოგრაფიულ უმაღლეს სასწავლებლებში ან ფაკულტეტებზე შემსვლელნი დამატებით აბარებენ ბიოლოგიას, ბოტანიკასა და ზოოლოგიაში, ხოლო კინემატოგრაფიის, ფიზკულტურის, მუსიკალური და თეატრალური უმაღლეს სკოლებში შემსვლელნი აბარებენ დამატებით გამოცდებს სპეციალობის მიხედვით.

გამოცდები სწარმოებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლესი სკოლების საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

5. გამოცდები რუსულ ენაში და იმ ენაში რომელზედაც სწარმოებს მეცადინეობა, მოცემულ უმაღლეს სასწავლებელში და აგრეთვე მათემატიკაში ზეპირი და წერილობითია, ყველა დანარჩენ საგნებში კი — მხოლოდ ზეპირი.

რუსულ ენაში და იმ ენაში, რომელზედაც სწარმოებს მეცადინეობა მოცემულ უმაღლეს სასწავლებელში, შეფასება ხდება ცალ-ცალკე წერითი და ზეპირი გამოცდების შედეგების მიხედვით და ისმება ორი ნიშანი.

შეფასება მათემატიკაში ხდება წერითი და ზეპირი გამოცდების მიხედვით ერთობრივად და იწერება ერთი შეჯამებითი ნიშანი.

6. იმ პირთა რიცხვიდან, რომლებმაც ჩააბარეს მისაღები გამოცდები, ე. ი. მიიღეს შეფასება არანაკლები „საშუალოსი“ მიღებული იქნებიან ისინი, ვისაც უფრო მაღალი შეფასება ექნება. ის პირნი, რომლებიც არ იქნებიან მიღებულნი კონკურსიო ან ფაკულტეტზე, რომელზედაც მისაღებ გამოცდებს აბარებდენ, მიიღებიან სხვა ფაკულტეტზედაც, იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება თავისუფალი ადგილი მის შემდეგ, რაც ჩარიცხული იქნება ის კანდიდატები, რომლებმაც ჩააბარეს მისაღები გამოცდები ამ ფაკულტეტზე.

გამმორებით გამოცდები არ დაინიშნება.

7. განცხადების მიღება უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ სწარმოებს ივნისის 20-დან აგვისტოს 1-მდე.

განცხადებების შეტანა შეიძლება საბჭოთა კავშირის ყოველ-უმაღლეს სასწავლებელში, მიუხედავად განცხადების შემტანის საცხოვრებელი ადგილისა. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს შემსვლელის მიერ არჩეული ფაკულტეტი და სპეციალობა.

განცხადების შეტანა ხდება უმაღლეს სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

ა) დაწერილებითი ავტობიოგრაფია.

ბ) ატესტატი საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დედანი).

გ) პასპორტი (უნდა წარადგინოს პირადად გამოცხადებისას).

დ) სამი ფოტოგრაფიული სურათი (გადაღებული უნდა იყოს უქუდოდ, სასურველია 3×4 სმ. ზომისა)., თვითეულზე შემსვლელის ხელის მოწერით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სახელმწიფო დაწესებულების მიერ.

ე) ცნობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ. (სამხედრო ვალდებულთათვის).

ვ. დირექტორთან და მისი თანამოადგილეობით (შეცვლის უფლების გარეშე) იქმნება მიმღები კომისია, რომელშიაც შედიან დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში.

ფაკულტეტის დეკანები და ორი პროფესორი. მიმღები კომისია იხილავს ყველა შემოსულ განცხადებას და ადგენს მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ პირთა სიას.

დირექტორი და კომისიის წევრები ვალდებულნი არიან პირადად შეამოწმონ შემსვლელთა ყველა დოკუმენტი.

მიმღები კომისიის ყველა დადგენილება ძალაში შედის დირექტორის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ. დირექტორი ვალდებულია განცხადების შემოსვლიდან ხუთი დღის განმავლობაში აცნობოს განმცხადებელს დაშვებულია თუ არა იგი მისაღებ გამოცდებზე.

საჰიერები მისაღებ გამოცდებზე არ დაშვების შესახებ შეიძლება შეტანილი იქნეს სათანადო სახკომატის (ან უწყების) სასწავლებელთა სამმართველოში, საპუთების თანდართვით (ავტობიოგრაფია, ატესტატის ასლი, უმაღლესი სასწავლებლის დირექტორის ცნობა გამოცდებზე არ დაშვების მიზეზის შესახებ).

სასწავლებლის მთავარი სამმართველო ვალდებულია პასუხი მისცეს განმცხადებელს არაუგვიანეს სამი დღისა საჰიერის შემოსულის მომენტიდან

9. მისაღები გამოცდები სწარმოებს აგვისტოს პირველიდან 20-მდე, ხოლო სტუდენტთა ჩარიცხვა აგვისტოს 21-დან 25-მდე.

შენიშვნა: იმ უმაღლეს სასწავლებლებში და ფაკულტეტებზე. სადაც ფრიადოსნებისაგან შემოსული განცხადებები სჭარბობენ ვაკანსიათა რიცხვის 50%-ს უმაღლეს სასწავლებლის დირექტორებს ნება ეძლევათ აწარმოონ ფრიადოსანთა ჩარიცხვა სტუდენტებად პირველიდან 10 აგვისტომდე, ფრიადოსნები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ვაკანტური ადგილების 60%-ით.

10. მისაღებ გამოცდებს აწარმოებს დირექტორის მიერ დანიშნული სპეციალური გამომცდელი კომისია.

11. თვითეულ შემსვლელს ეძლევა საგამოცდო ფურცელი მისი ფოტოგრაფიული სურათით.

12. მისაღები გამოცდების შედეგების განსაზღვრა ხდება თითოეული დისციპლინიდან ცალკე შეფასების (ნიშნის) შემდეგი წესის მიხედვით: „ფრიადი“, „კარგი“, „საშუალო“ და „არადამაკმაყოფილებელი“.

13. მისაღები გამოცდების დაწყებამდე უმაღლეს სასწავლებლის დირექტორი აწყობს ყველა შემსვლელთათვის საექიმო შემოწმებას. უმაღლეს სასწავლებელთა საექიმო კომისიები, შემსვლელთა საექიმო შემოწმებისას ხელმძღვანელობენ მოცემულ სასწავლებელში შესვლისათვის ხელის შემშელ ავადყოფობათა სიით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის ჯანსაღობის და უმაღლეს სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტი.

14. მიღების და საექიმო კომისიის შედეგები გადაეცემა მიმღებ კომისიას, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ. უმაღლეს სასწავლებელში მიღებას დირექტორი აწარმოებს თავის ერთპიროვნულ პასუხისმგებლობით.

15. უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული პირნი, რომლებიც არასაპატიო მიზეზით არ შეუდგებიან მეცადინეობას სასწავლო წლის დასაწყისიდან, გაირიცხებიან სტუდენტთა შემადგენლობიდან.

16. უმაღლეს სასწავლებლის დირექტორებს, თუ ექნებათ თავისუფალი ვაკანსიები, ნება ეძლევათ ჩარიცხონ სტუდენტებად ის პირნი, რომლებმაც წარმატებით ჩაბარეს გამოცდები სხვა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ იქ არ იყვნენ მიღებული ვაკანსიების უქონლობის გამო ან ჯანმრთელობის მდგომარეობით არ შეეფარდებოდენ მოცემულ სპეციალობის მოთხოვნილებას.

იმ პირთათვის, რომლებმაც გამოცდები ჩაბარეს სხვა უმაღლეს სასწავლებელში, განცხადებების (წერილობითი ან ტელეგრაფით) მიცემის უკანასკნელი ვადად დაწესებულია 5 სექტემბერი.

განცხადების მიცემის იგივე ვადა წესდება იმ ფრიადოსნებისათვის, რომლებიც ვაკანსიების უქონლობის გამო არ იქნენ მიღებული სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

17. სტუდენტთა ჩარიცხვაში უარის თქმა-

ზე საჩივრების საბუთების დართვით (ავტობიოგრაფია, ატესტატის ასლი, ამონაწერები გამომცდელი და მიმლები კომისიის ოქმებიდან) შეიძლება შეტანილი იქნეს სასწავლო წლის დაწყებამდე სათანადო სახკომატის ან უწყების სასწავლებელთა სამმართველოში.

სასწავლებელთა მთავარი სამმართველო ვალდებულია გასცეს პასუხი საჩივრებზე არაუგვიანეს სამი დღისა მისი შემოტანის მომენტიდან.

18. იმ პირთ, რომლებიც არ იყვნენ დაშვებული გამოცდებზე ან საკუთარი ნებით სურვილით არ გამოსულან გამოცდებზე, ან რომლებმაც ვერ ჩაბარეს გამოცდები, და ავრეთვე იმათაც, ვინც გამოცდები ჩაბარა, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში მიღებული არ იქნენ ეკანსიების უქონლობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ყველა წარმოდგენილნი დოკუმენტა უბრუნდებათ უკანვე არაუგვიანეს ორი დღისა, იმის შემდეგ, რაც მათ შეიტანეს სათანადო განცხადება ან რაც მიმღებ კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება უარის თქმის შესახებ.

დამტკიცებულია სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ.

1939 წ. 15 მარტს

მ ი ღ ე ბ ი ს წ ე ს ე ბ ი

სსრ კავშირის პედაგოგიური (სამასწავლებლო) ინსტიტუტის და უნივერსიტეტის დაუსწრებელ გა ნყოფილებებზე 1939 წლისათვის

1. პედაგოგიური (სამასწავლებლო) ინსტიტუტის ან უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებებზე მიიღებიან სსრ კავშირის მშრომელნი წლოვანების განუსაზღვრელად. მიუხედავად სოციალური წარმოშობისა, სქესისა, რასიულობისა და ეროვნებისა, ვისაც აქვს მიღებული სრული საშუალო განათლება.

2. პედაგოგიური (სამასწავლებლო) ინსტიტუტის ან უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებებზე შემსცელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს იმ საგნებში და იმ პროგრამების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია სტაციონალურ უმაღლეს სასწავლებელში შემსცელთათვის.

ის საშუალო სკოლა დამთავრებულნი, რომლებსაც აქვს ფრიადოსნობის ატესტატი მიიღებიან უგამოცდოდ.

3. პედაგოგიური (სამასწავლებლო) ინსტიტუტის ან უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩარიცხვის დროს უპირატესობა ეძლევათ: არასრული და სრული საშუალო სკოლის მე-5—10 კლასის მასწავლებლებს და იმ მასწავლებლებს, რომლებმაც საატესტაციო კომისიის დადგენილებით უნდა მიიღონ სპეციალური განათლება პედაგოგიური ან სამასწავლებლო ინსტიტუტის მოცულობით, ავრეთვე იმ მასწავლებლებს, რომლებიც 1938/39 სასწავლო წელში ამთავრებენ არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელ შვიდ და ცხრა თვიან კურსებს.

აღნიშნული მასწავლებლები პედაგოგიური (სამასწავლებლო) ინსტიტუტის ან უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებებზე მიიღებიან მისაღები გამოცდების გარეშე. სპეციალურ დისციპლინებში, რუსულ და მშობლიურ ენაში მათი მომზადების შემდგომი შემოწმებით წინასწარ სესიების ჩატარების დროს.

4. ის მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან: არასრული და სრული საშუალო

სკოლის 5—10 კლასებში და ჯერ არ გაუვლიათ საატესტაციო კომისიაში, მოზრდილთა სკოლის 5—10 კლასში, პედაგოგიურ სასწავლებელში, დაწყებითი არასრული საშუალო და საშუალო სკოლის 1—4 კლასში და აგრეთვე კომორგები, პიონერხელმძღვანელები. სკოლამდელი აღზრდის და საბავშვო სახლების დაწესებულებათა ხელმძღვანელები. აღმზრდელები და განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელი მუშაკები პედაგოგიურ (სამასწავლებლო) ინსტიტუტში ან უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებებზე მიიღებიან (საერთო წესით) საკონკურსო გამოცდების ჩაბარების შემდეგ. იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სტაციონალური განყოფილებებისათვის შემდეგ დისციპლინებში:

ა) რუსული ენა (წერითი თხზულება, გრამატიკა, ლიტერატურა). იმ ინსტიტუტებში, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობს არა რუსულ ენაზე აუცილებლივ გამოიცდებიან დამატებით მშობლიურ ენაში

ბ) სსრკ ხალხთა ისტორია;

გ) იმ ფაკულტეტის პროფილის ოთხიპლინებში, რომლებზედაც შედის, სახელდობრ:

ენისა და ლიტ. ფაკულ.—ლიტერატურაში,
ფიზიკო-მათემატიკური „ —ფიზიკასა. და მათემატიკაში
გეოგრაფიული ფაკულ. —გეოგრაფიაში.
საბუნებისმეტყველო ფაკულ. — ბოტანიკასა და ზოოლოგიაში.
ისტორიული ფაკულ. —ისტორიაში.
უცხო ენების ფაკულ. —ერთ-ერთი ენა დასავლეთ ევროპის ენებიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ამორჩევით)

სკოლამდელი აღზრდის ფაკულ. — ლიტერატურაში.

5. გამოცდები რუსულ ენაში და იმ ენაში, რომელზედაც სწარმოებს მეცადინეობა მოცემულ პედაგოგიურ (სამასწავლებლო) ინსტიტუტის ან უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებებზე და აგრეთვე მათემატიკაში ზეპირი და წერილობითია, ყველა დანარჩენ საგნებში კი—მხოლოდ ზეპირი.

რუსულ ენაში და იმ ენაში, რომელზედაც სწარმოებს მეცადინეობა მოცემულ ინსტიტუტში ან უნივერსიტეტში შეფასება ხდება ცალკე წერითი და ზეპირი გამოცდების შედეგების მიხედვით და ისმება ორი ნიშანი. შეფასება მათემატიკაში ხდება ზეპირი და წერითი გამოცდის მიხედვით ერთობრივად და იწერება ერთი შეჯამებითი ნიშანი.

6. იმ პირთა რიცხვიდან, რომლებმაც ჩაბარეს მისაღები გამოცდები ე. ი. მიიღეს შეფასება არანაკლებ „საშუალოსი“ მიღებული იქნებიან ისინი ვისაც უფრო მაღალი შეფასება ექნება.

განმეორებითი გამოცდები არ დაინიშნება.

7. განცხადების მიღება პედ. ინსტიტუტის (სამასწავლებლო) ან უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩარიცხვის შესახებ სწარმოებს პირველი აპრილიდან 25 ივნისამდე (ჩათვლით). 25 ივნისიდან განცხადებები მიიღება მხოლოდ იმ პირთაგან ვინც საშუალო სკოლა დამთავრა 1939 წელს.

8. იმ მიზნით, რომ უფრო გაადვილებულ იქნეს დაუსწრებელი ინსტიტუტის სტუდენტების სესიებზე და კონსულტაციებზე გამგზავრება, განცხადებების შეტანა დაუსწრებელში სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ შეიძლება განმცხადებლის შემტანის ახლო მდებარე სათანადო დაუსწრებელი პედაგოგიური (სამასწავლებლო) ინსტიტუტის ან უნივერსიტეტის განყოფილებებზე.

9. განცხადების შეტანა ხდება დაუსწრებელი პედაგოგიური (სამასწავლებლო) ინსტიტუტის დირექტორის ან უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

ა) დაწერილებითი ავტობიოგრაფია.

ბ) ატესტატი საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დედანი).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი იმყოფება განათლების განყოფილებაში, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ატესტატის ასლი ნოტარიუსის მიერ შემოწმებული და განათლების განყოფილების ცნობის თანდართვით, რომ დოკუმენ-

ტის დედანი ინახება განყოფილებაში. ამ ცნობის გარეშე არ შეიძლება მიღებული იქნეს ატესტატის ასლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საატესტაციო კომისიის დადგენილების ამონაწერი შემოწმებული გახათლების განყოფილების მიერ (5—10 კლასის მასწავლებელთათვის და რომლებმაც გაიარეს ატესტაცია).

დ) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

შენიშვნა: ის პირნი, რომლებმაც დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლობის მოსამზადებელი ცხრა თვიანი კურსები, ადგენენ ამ კურსების დამთავრების დოკუმენტს.

10. ინსტიტუტის დირექტორთან (უნივერსიტეტის რექტორთან) მისი თავმჯდომარეობით იქმნება მიმღები კომისია, რომელშიაც შედიან: დირექტორის მოადგილის (პროორექტორის) თანაშემწე დაუსწრებელ სწავლების ხაზით, ორი პროფესორი (მასწავლებელი).

მიმღები კომისია იხილავს ყველა შემოსულ განცხადებას და ადგენს სიებს იმ პირებისას ვინც შეიძლება მიღებული იქნეს მისაღები გამოცდების ჩაბარების გარეშე და მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ პირთა სიას.

დირექტორი (რექტორი) და ყველა კომისიის წევრები ვალდებული არიან პირადად შეამოწმონ შემსწავლელთა ყველა დოკუმენტი. მიმღები კომისიის ყველა დადგენილება ძალაში შედის ინსტიტუტის დირექტორის (უნივერსიტეტის რექტორის) მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

დირექტორი ვალდებულია განცხადების შემოსვლიდან ხუთი დღის განმავლობაში აცნობოს განმცხადებელს დაშვებულია თუ თუ არა იგი მისაღებ გამოცდებზე.

საჩივრები მისაღებ გამოცდებზე არ დაშვების შესახებ და არა სწორი მოქმედების შესახებ, შეიძლება შეტანილი იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლეს სკოლების სამმართველოში (დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე) 1939 წლის 1-ლ აგვისტომდე. საბუთების თანდართვით: (ავტობიოგრაფია, ატესტატის ასლი ან ფურცლები კომისიის ოქმის ამონაწერი).

განათლების კომისარიატის უმაღლეს სკოლების სამმართველო ვალდებულია პასუხი გასცეს განმცხადებელს არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის შემოსვლის მომენტიდან.

11. მისაღები გამოცდები სწარმოებს 25 ივნისიდან 10 ივნისამდე, ხოლო დაუსწრებელ განყოფილების სტუდენტებად ჩარიცხვა—11 ივლისიდან 15 ივლისამდე.

მისაღებ გამოცდებს აწარმოებს დირექტორის (რექტორის) მიერ გამოყოფილი სპეციალური გამომცდელი კომისია.

12. თვითოეულ შემსვლელს ეძლევა საგამოცდო ფურცელი მისი ფოტოსურათით.

13. მისაღები გამოცდების შედეგების განსაზღვრა ხდება თვითოეულ დისციპლინაში (ალბერ შეფასების (ნიშნების) შემდეგი ხარისხის მიხედვით: „ფრიადი“, „კარგი“, „საშუალო“ და „არადამაკმაყოფილებელი“.

14. გამოცდების შედეგები გადაეცემა მიმღებ კომისიას, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება დაუსწრებელ განყოფილებაზე სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ.

მიღებას აწარმოებს დირექტორი (რექტორი) თავისი ერთპიროვნული პასუხისმგებლობით. (შეცვლის უფლების გარეშე).

15. პედაგოგიური (სამასწავლებლო) ინსტიტუტის დირექტორს ან უნივერსიტეტის რექტორს, თუ ექნებათ თავისუფალი ვაკანსიები, ნება ეძლევათ ჩარიცხონ დაუსწრებელ სტუდენტებად ის პირნი, რომლებმაც ჩაბარეს გამოცდები სხვა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ არ იყვნენ მიღებული ვაკანსიების უქონლობის გამო, ან არ შეეფარდებიან მოცემულ სპეციალობის მოთხოვნილებებს.

განცხადებების (წერილობითი ან ტელეგრაფით) შეტანის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 11 ივნისი.

განცხადებების იგივე ვადა წესდება იმ ფრიადმსნებლისათვის, რომლებიც ვაკანსიების უქონლობის გამო არ იქნენ მიღებული სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

№ 188

16. იმ პირთ, რომლებიც არ იყვნენ დაშვებული დამოცდებზე ან საკუთარი ნება სურველით არ გამოსულან გამოცდებზე, ან რომლებმაც ვერ ჩაბარეს გამოცდები და აგრეთვე იმათაც, ვინც გამოცდები ჩააბარეს, მაგრამ არ იქნენ მიღებულნი ეკანსიების უქონლობის გამო, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უბრუნდებათ უკანვე არა უგვიანეს 10 დღისა იმის შემდეგ, რაც მიმღებმა კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება.

17. ის პირნ, რომლებიც ჩაირიცხებიან პედაგოგიური (სამასწავლებლო) ინსტიტუტის ან უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ წინასწარ ათდღიან სესიებზე, რომელიც ჩატარებული უნდა იქნეს მისაღები გამოცდების დამთავრებისთანავე 1 ივლისსა და 1 აგვისტოს რიცხვებს შორის.

დააბრუნეთ წიგნი არა უგვიანეს აღნიშნულ ვადისა
Возвратите КНИГУ не позже обозначен. здесь срока

პ/მგ. რედაქტორი **ლ. გეგეშიძე** პ/მგ. მდივანი **ხ. ცაიშვილი**

გადაეცა წარმოებას—15/V—1939 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად—1/VI- 39 წ.
მოცულობა – 120.000 ნიშანი
ფორმა—2 სასტამბო

საავტორო - 3
ზომა—8×12
ქაღალდის—70×108
მთავლიტის რწმ —ი—413

სტამბა „ზარია ვოსტოკა" რუსთაველის. პრ. № 36. თბილისი შეკვ. № 1401 ტირაჟი 5000